სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 2 დეკემბერი 2005 №277 (2600) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ არის ტოპმიოლერი ტოპი

ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

ევროჩემპიონატები 2007

გაისად გერმანიას ვნახავთ

დინამო 80 წლისაა

უსიხარულო ცხოვრების სიხარული

კომპლიმენტები ლამაზი ქალისგან

კეთილი ქალბატონი ტოპმიოლერი ქმრის საქმეში არ ერევა

კლაუს ტოპმიოლერი თბილისში ჩამოვა და ეგებ საქართველოს ნაკრების მწვრთნელიც შეიქნეს. თუ შეიქნება და, ფრაუ ტოპმიოლერი, ოფიციალურად კი ქალბატონი როზვიტა პირველი იქნება მათ შორის, ვინც ქმარს შორეულ ქვეყანაში ჩამოჰყვება. აქამდე არც ერთ უცხოელ მწვრთნელს ჩვენს ქვეყანაში მეუღლე არ ხლებია.

თავის დროზე საქმე ისე იყო, რომ თუკი ფრანგი ანრი მიშელი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად დაინიშნებოდა, მას ცოლიც, მადამ რუბაც უნდა წამოჰყოლოდა.

ჩვენს რედაქციას მაშინ ხშირი სატელეფონო კავშირი ჰქონდა მადამ რუბასთან. ჰოდა, შეიძლება ითქვას, ტრადიციას ვაგრძელებთ და წუხელ როზი ტოპმიოლერს დავუკავშირდით...

— თბილისში როდის უნდა გელოდოთ?

— უახლოეს დღეებში, უკვე თვითმფრინავის ბილეთებს ველით და მალე ჩამოვალთ.

— ვიდრე ჩამოხვალთ, იქამდე რას გვეტყვით, თანახმაა თქვენი მეუღლე, საქართველოში იმუშაოს?

— ეს თავად მას ჰკითხეთ.

— თქვენ რას ფიქრობთ, გსურთ, მეუღლემ საქართველოს ნაკრები ჩაიბაროს?

— როგორც ის იტყვის, ისე იქნება. ჩემთვის მეუღლის სიტყვა გადამწყვეტია.

— საქართველოზე აქამდე რა გსმენიათ?

— ბევრი არაფერი. ვიცი, რომ საქართველო ქრისტიანული ქვეყანაა. სხვას კი, ჩამოვალთ და მერე გეტყვით. ვიმედოვნებთ, საქართველოში კარგ დროს გავატარებთ და დიდხანს დავრჩებით.

— თქვენთვის მოულოდნელი იყო, ჰერ კლაუსს საქართველოს ნაკრებში მუშაობა რომ შესთავაზეს?

— დიახ, ეს მოულოდნელი და ძალიან სასიამოვნო იყო. არ მეგონა, ჩემს მეუღლეს საქართველოში თუ იცნობდნენ. ახლა კი საქართველოდან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ. მაპატიეთ, სხვას ვერაფერს გეტყვით, დანარჩენი მეუღლის საქმეა. საქართველო მასაც ძალიან აინტერესებს, თქვენ, ალბათ, ლამაზ ქვეყანაში ცხოვრობთ.

კოგა ინასარიძე

სინი რკინის ხელშია

ფოტო ალექსანდრ ოდაბაშიანის

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე მაგთიკომის პირველობის საპლეიოფო შეხვედრები გაიმართა რაგბიში.

„სარბიელის“ სინისთვის „ლოკომოტივი“ „ხულიგანამ“ გამოიწვია, მაგრამ ვერას გახდა. ასე რომ, რკინიგზელებს სინს ხელიდან ვერავინ აგდებინებს და ჩემპიონატსაც აშკარა უპირატესობით ლიდერობენ.

„ლოკომოტივი“ — „ხულიგანამდე“ კი ერთმანეთს „ლელო“ და „აკადემია“ შეხვდნენ. დაძაბულ ბრძოლაში „აკადემიამ“ იმარჯვა.

იაშვილის განმარტებანი თემაზე: რატომ არის ტოპმიოლერი ტოპი

კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის ერთ-ერთი სასურველი და რეალური კანდიდატია. ამ გერმანელი მწვრთნელის შესახებ კი „ფრაიბურგის“ და ჩვენი ნაკრების შემტევ ალექსანდრე იაშვილს ვესაუბრეთ, ვინც ცხრა წელია, გერმანიაში თამაშობს...

— ტოპმიოლერს გერმანიაში ძალიან კარგი იმიჯი აქვს, მის ხელში „ლევერკუზენმა“ 2001-02 წლების სეზონში სასწაული მოახდინა — გერმანიის თასის და ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა, ძალიან ახლოს იყო გერმანიის ჩემპიონობასთანაც — ტოპმიოლერის „ლევერკუზენს“ სეზონში სამი ტიტულის მოგების დიდი შანსი ჰქონდა და ეს ცოტას ნამდვილად არ ნიშნავს.

— როგორი სტილის მწვრთნელად მიიჩნევენ მას გერმანიაში?

— ცალსახად შემტევი სტილის მიმდევრად. ტოპმიოლერი „ლევერკუზენამდე“ „ბოხუმს“ წვრთნიდა და იქაც შემტევ, ტექნიკურ ფეხბურთს ათამაშებდა გუნდს. ტოპმიოლერი უდავოდ ძლიერი სპეციალისტია.

— რომელი ახალგაზრდა ფეხბურთელები დაწინაურებულან მის ხელში?

— ილდირაი ბაშთურქი ტოპმიოლერის ნათლული თუ შვილობილია. ეს ხუმრობით, ისე კი, ტოპმიოლერმა ყველასთვის უცნობი ბაშთურქი ჯერ „ბოხუმში“ გამოაჩინა, მერე კი „ლევერკუზენში“. ტოპმიოლერის აღმოჩენა არ არის მიხაელ ბალაკი, მაგრამ სწორედ ტოპმიოლერმა ათამაშა პირველად ბალაკი შემტევ ნახევარმცველად „ლევერკუზენში“.

— ტოპმიოლერის გარდა ჩვენი ეროვნული ნაკრების მწვრთნელობის რეალური კანდიდატია სრეჩკო კატანეციც...

— უკვე ძალიან კარგია, რომ არჩევანი ორ ძლიერ მწვრთნელს შორის უნდა გაკეთდეს.

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯიმლეიძის ფოტო

19-წლამდელთა სამაისო სლოვაკეთი

კობა ჭორჭიკაშვილი: ზეპირად ყველას ვიცნობთ, კასეტები გვჭირდება

ირლანდია, სლოვაკეთი, თურქეთი — როგორც იცით, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მეტოქეები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად სწორედ ესენი იქნებიან. ჩვენი ჯგუფის მატჩები სლოვაკეთში გაიმართება 19-23 მაისს და ამ ოთხეულიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის ფინალურ ეტაპზე, სადაც სულ რვა გუნდი მოიყრის თავს. რა თქმა უნდა, ქართველ 19-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი კობა ჭორჭიკაშვილი ფინალურ ეტაპზე გასვლას გეგმავს, თუმც ისიც კარგად იცის, რომ მეტოქეებიც კბილებალესილები იბრძოლებენ...

— ზეპირად ძალიან ძნელია, მეტოქეების ძალა განსაზღვრო, მით უმეტეს, იუნიორულ ასაკში. ყველანაირად ვეცდებით, სამივე გუნდის თამაშების კასეტები მოვიპოვოთ.

— ირლანდიას არცთუ დიდი ტრადიციები აქვს იუნიორულ ასაკში, თურქეთმა კი შარშან 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო და, ალბათ, სწორედ ამ თაობას ათამაშებს...

— ტრადიციები კი, მაგრამ ირლანდიელებმა პირველ ეტაპზე იტალია გამოთიშეს. გარდა ამისა, ლინანოში გამართულ ახალგაზრდულ ფესტივალზე დავინახე, როგორ მუშაობდნენ ირლანდიელი ფეხბურთელები და მწვრთნელები. მართალია, ის 19-წლამდელთა ნაკრები არ იყო, მაგრამ ირლანდია რომ ორგანიზებული და ძლიერი გუნდი იქნება, ეჭვი არ მეპარება.

რაც შეეხება თურქეთს, ჩემი აზრით, ის ყველაზე ძნელი მეტოქე იქნება. და, რა თქმა უნდა, სლოვაკეთი, რომელიც მასპინძელია, რაც თავისთავად ზრდის მის შანსებს. ერთი სიტყვით, მინდორზე გასვლამდე ძნელია პროგნოზირება.

— საქართველოს ყველა ნაკრების სენი ამხანაგური მატჩების ნაკლებობაა. ხომ არ დაგეგმეთ თამაში და რა ვადებში აპირებთ შეკრებას?

— ამხანაგურები აუცილებელია, თორემ უნახავად და შეუკრებავად სლოვაკეთში ძალიან გაგვიჭირდება. საზღვარგარეთ გამგზავრება და ტესტ-მატჩების ჩატარება კარგი იქნება, ამას ფინანსები სჭირდება და, იმედია, გამოინახება. შეკრება თუნდაც თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში შეიძლება და, რა თქმა უნდა, სლოვაკეთში გამგზავრების წინაც.

— პირველ ეტაპზე თქვენმა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელთა ბირთვს დიდად არ შეცვლით?

— დიდი ცვლილებები, ალბათ, არ იქნება. თუმც, თუ კონკრეტულ პოზიციაზე რომელიმე ფეხბურთელი უკეთეს შთაბეჭდილებას დატოვებს, ცხადია, მივიწვევთ. ეგივე ზურაბ არზიანი, გიორგი კახელიშვილი... ვნახოთ, ვინ როგორ მოუმატებს თამაშს.

— საკლუბო ამბებზეც ვთქვათ: თქვენმა გაწვრთნილმა „ზესტაფონი 2“-მა ბოლო დროს მოგებები დაიწყო, არადა, მანამდე მუდმივად აგებდა. რა იყო პროგრესის მიზეზი?

— „ზესტაფონი 2“-ში 16 წლის ბიჭები არიან და თავიდანვე ძლიერ სტარტს არც არავინ ელოდა. ძნელია, ბავშვმა ჩამოყალიბებულ ფეხბურთელს აჯობოს. შეთამაშებამ, სწორმა მიდგომამ და გამოცდილებამ ზედიზედ ხუთი თამაში მოაგებინა გუნდს, რაშიც ჩემი თანაშემწეების — ლევან ხომერიკისა და პაატა ლურსმანაშვილის დიდი წვლილიცაა.

ილია ნანოგაშვილი

აქვე ირლანდიის, სლოვაკეთისა და თურქეთის 19-წლამდელთა ნაკრებების საპირველეტაპო შედეგებზეც...

ირლანდია: იტალია 4:1, მოლდოვა 3:0, ჩრდ. ირლანდია 2:1
სლოვაკეთი: დანია 0:0, ლიხტენშტაინი 2:1, ყაზახეთი 1:0
თურქეთი: მაკედონია 2:2, ალბანეთი 2:0, რუმინეთი 1:1.

ევრობიჭები 2007

გაისად გერმანიას ვნახავთ

კვიპროსზე 17 და 19-წლამდელთა ევრო 2007-ის შესარჩევი ციკლის პირველი ეტაპების კენჭისყრა გაიმართა. ეს შესარჩევი გაისად ოქტომბერში დაიწყება და ზუსტად იგივე ფორმატით გაიმართება, როგორც წლეულს იყო — პირველი ეტაპიდან ორი საუკეთესო გადავა მეორეში, სადაც ასევე ოთხგუნდა ჯგუფები შედგება და იქიდან მხოლოდ გამარჯვებულები მოხვდებიან ფინალურ რვაგუნდა ეტაპზე.

აქვე ქართველთა მეტოქეებსა და კალენდარს გაგაცნობთ:

17-წლამდელები — გერმანია, რუსეთი, მაკედონია, საქართველო.

13 ოქტომბერი: საქართველო — რუსეთი; 15 ოქტომბერი: საქართველო — გერმანია; 18 ოქტომბერი: საქართველო — მაკედონია.

19-წლამდელები — ბელგია, საქართველო, რუმინეთი, ჩრდ. ირლანდია.

4 ოქტომბერი: საქართველო — ჩრდ. ირლანდია; 6 ოქტომბერი: საქართველო — რუმინეთი; 9 ოქტომბერი: საქართველო — ბელგია.

ბოლოს კი ჩვენთვის საინტერესო ცნობაც: 17-წლამდელთა პირველ შესარჩევ ეტაპს საქართველო უმასპინძლებს.

ილია ნანოგაშვილი

გახოკიძე შემოდგომას გადაახტა

საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ტვენტეს“ ნახევარმცველმა გოგა გახოკიძემ, როგორც იქნა, ტრავმა მოიშუშა და მოედანს დაუბრუნდა. გუშინწინ „ტვენტემ“ 1:0 მოუგო „სპარტას“ და ჩვენებურმაც ბოლო ნახევარი საათი ითამაშა.

გახოკიძე დაახლოებით ორი თვის წინ დაშავდა, თუმცა ეს ტრავმა მისთვის უცხო სულაც არაა — ბოლო წლებია, გოგას კუნთი აწუხებს და რეციდივები ხან როდის ახსენებს თავს, ხან როდის.

გეხსომებათ, ამ ტრავმის გამო იგი ბულგარეთთან და იორდანიასთან ამხანაგურ მატჩებში ნაკრებსაც დააკლდა.

ძახა ზალამბერიძე

წასვლა უნდა, წასასვლელი არ იცის

ლევან მელქაძე: წრე ჩავაგდე

ლევან მელქაძე წინა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, თავდამსხმელი და ბომბარდირი კი გახდა, მაგრამ წლევანდელში ვერ წაუვიდა საქმე კარგად. თითქოს დაითარსაო, „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებულმა ტრავმა მიიღო და ბოლო ტურებიც ამიტომ გამოტოვა.

საქართველოს ჩემპიონატში თავისი დაამტკიცაო, ლევან მელქაძეზე სწორედაც რომ ითქმის. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ 25 წლის დინამოელს უცხოეთზე უჭირავს თვალი — ეს თავად ლევანმაც დაგვიდასტურა, მაგრამ, რეალური წინადადება ჯერ არ მიმიღიაო, ესეც დაამატა.

— ტრავმა საშიში არ არის, ათ დღეში უკვე სრულად გამოვჯანმრთელდები და დაახლოებით 21 დეკემბრისთვის მეცოდინება ჩემი მსურველი გუნდები — გვითხრა ლევან მელქაძემ და არც „დინამოში“ ჩემპიონატის ბოლომდე დარჩენა გამორიცხა, კონტრაქტი მაგ დროს მიმთავრდებაო.

და პირველი წრე? ლევანი თვითკრიტიკულია — ზაფხულს აქეთ ჩემს თამაშს უარყოფითად ვაფასებ, მაგრამ ძველ ფორმას მალე დავიბრუნებო.

ილია ნანოგაშვილი

ბურაგ დელიანეიშვილის ფოტო

საქართველოს XVII ჩემპიონატი
პირველი წრის მიმოხილვა

უმაღლესი ლიგა

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

რატომ დაასახელა „სარბიელმა“ ვიტჯორჯიელი ოთარ მარცვალაძე პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელად?

- მარცვალაძემ პირველ წრეში გაიტანა ყველაზე მეტი, 14 გოლი.
- მარცვალაძის გოლით „ვიტ ჯორჯიამ“ მოიგო პირველი წრის ყველაზე პრინციპული მატჩი ყველაზე პრინციპულ მეტოქესთან — თბილისის „დინამო“ 1:0 დაამარცხა.
- მეგოლეობის გარდა, მარცვალაძეს შეუძლია, გამუდმებით თავს ესხმოდეს მეტოქეს, ზედმიწევნით ამართლებს სიტყვას „თავდამსხმელი“.
- მარცვალაძე დღესდღეობით სატრანსფეროდ ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია ეროვნულ ჩემპიონატში.
- მარცვალაძის გუნდი ჩემპიონატის ლიდერია.
- მიმდინარე სეზონში მარცვალაძე პირველად გამოიძახეს ეროვნულ ნაკრებში.

„სარბიელის“ ვერსიით პირველი წრის საუკეთესო მწვრთნელი „ვიტ ჯორჯიას“ თავკაცი ნესტორ მუმლაძეა

მიზანი, რომელიც ჩემპიონობაზე მეტია

— ჩვენი მიზანი მაინცდამაინც ის არ არის, საქართველოს ჩემპიონები გავხდეთ. თუ ამას ევროსარბიელზე ნორმალური თამაშიც არ მოჰყვა, კმაყოფილი ვერ ვიქნები — გვითხრა გუშინ მუმლაძემ — რაც გუნდი ჩავიბარე, სულ მაღალ სისწრაფეზე და შეტევაზე ვაკეთებ აქცენტს, „ვიტ ჯორჯიას“ დაცვაში ჩაჯდომა არ უყვარს.

— ვის გამოარჩევთ გუნდიდან?

— ოთარ მარცვალაძემ 14 გოლი შეაგდო, ბომბარდირთა სიას ლიდერობს და თავდამსხმელისთვის საჭირო ყველა თვისება აქვს. საერთოდ, გამორჩევა არ მიყვარს, მაგრამ, რადგან პირველი წრე დასრულებულდა, კი ბატონო: ნიკა გელაშვილი თელავის „კახეთიდან“ რომ გადმოვიყვანეთ, როგორ გაამართლა, თავადაც ხედავთ. ზაზა სახოკიაც ძალიან ნიჭიერია, მაგრამ მისგან მეტს ველით, ისევე, როგორც დავით დილმელაშვილისგან — ის გუნდის ხერხემალია, უდიდეს სამუშაოს ასრულებს და მჯერა, კიდევ მოუმატებს. დავით იმედაშვილი ტრავმების გამო დაიტანჯა, თუმც სულით სპორტსმენია და ვიცი, საუკეთესო წლები წინ აქვს. გაამართლეს ძმებმა დათუნაიშვილებმა, ეგაა, პავლე ფიცხია და თავშეკავება მართებს. გიორგი ფეიქრიშვილმა რამდენიმე მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და თამაშითაც დამაკმაყოფილა. ოლეგ გველესიანმა, თენგიზ კობიაშვილმა და დავით ლომაიამ კარგად წარმოაჩინეს თავი. მეკარე გრიგოლ ბედიაშვილსაც გამოვყოფ და ვიტყვი, რომ, როცა მეკარე სტაბილურად დგას, გუნდიც ერთიორად იმედიანადაა. არ მინდა, ვინმე გამომრჩეს, ყველამ ჯიგრიანად ითამაშა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლომდე კმაყოფილი ვარ. „ვიტ ჯორჯიას“ გაცილებით დიდი პოტენციალი აქვს.

— ლიდერები კი ხართ, მაგრამ მდევრებს კინკილა ქულით უსწრებთ. ვინ იქნება „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი კონკურენტი ჩემპიონობისთვის ბრძოლაში?

— „დინამო“, „სიონი“, „ლოკომოტივი“, „ამერი“... ალბათ, „ბორჯომი“ და „ზესტაფონიც“ მოუმატებენ.

— ხომ არაა მოსალოდნელი, რომ „ვიტ ჯორჯია“ ზამთრის შესვენებაზე რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს?

— როგორც ვიცი, გუნდიდან არავინ მიდის.

— მარცვალაძის შენარჩუნება კი ალბათ გაგიჭირდებათ...

— გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ოთარი ჯერ ჩვენი მოთამაშეა.

— ჩემპიონობისთვის რომ იბრძოლებთ, ცხადია, მაგრამ რა კეთდება საიმისოდ, რომ გუნდმა ევროპაში თავი არ შეირცხვინოს?

— ჩვენი საზრუნავი სწორედ ევროპაში ასე თუ ისე ღირსეულად თამაშია. მარტო შიდა წარმატებებით ცხოვრება არ შეიძლება, დღესაც მწარედ გვახსენდება უნგრულ „ლომბარდ პაპასთან“ წაგება. მაშინ ობიექტური მიზეზებიც იყო: სულ რამდენიმე დღე გვქონდა მოსამზადებლად და დრო არ გვეყო... რა უნდა გაკეთდეს? უფრო მეტი სისწრაფე და სწორი ტაქტიკურ-ტექნიკური მზადყოფნა გვმართებს.

— რომელი იყო „ვიტ ჯორჯიას“ საუკეთესო თამაში პირველ წრეში?

— ალბათ, ბოლნისის „სიონთან“. 0:1 ვაგებდით, კაცნაკლულნი დავრჩით, მაგრამ მაინც მოვიგეთ.

ილია ნანობაშვილი

სიმბოლური ნაკრები

- გია მეგრელაძე — *დინამო*
- ჟაბა დვალი — *სიონი*
- ოთარ მარცვალაძე — *ვიტ ჯორჯია*
- რევაზ გეწაძე — *ბორჯომი*
- დავით ბოლქვაძე — *სიონი*
- დავით სირაძე — *ლოკომოტივი*
- რონ ონიანი — *ლოკომოტივი*
- დავით იმედაშვილი — *ვიტ ჯორჯია*
- ვახტანგ ხვადაგიანი — *ამერი*
- თენგიზ ჩიკვილაძე — *სიონი*
- გრიგოლ ჭანტურია — *ლოკომოტივი*

გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

ბომბარდირები

14-მარცვალაძე	*ვიტ ჯორჯია*
11-დვალი	*სიონი*
8-ქორიძე	*ბორჯომი*
მეგრელაძე	*დინამო*
7-ქუთათელაძე	*კოლხეთი*
იონანიძე	*ზესტაფონი*
6-დოლიძე	*სიონი*
ბობოხიძე	*დინამო*
დავითაშვილი	*ამერი*
ხანიშვილი	*დილა*

ვიტ ჯორჯია	15	11	3	1	33:10	36
სიონი	15	11	2	2	28:12	35
ლოკომოტივი	15	10	3	2	26:6	33
დინამო	15	10	2	3	25:7	32
ბორჯომი	15	10	0	5	29:15	30
ამერი	15	9	2	4	15:9	29
ზესტაფონი	15	8	3	4	18:11	27
კოლხეთი	15	7	1	7	16:17	22
ბათუმი	15	6	4	5	13:12	22
დილა	15	5	1	9	21:24	16
კახეთი	15	5	1	9	14:25	16
ტორპედო	15	3	4	8	10:17	13
ცხინვალი	15	3	3	9	10:26	12
სოხუმი	15	3	1	11	14:36	10
თბილისი	15	1	2	12	9:29	5
სპარტაკი	15	1	2	12	3:28	5

საუკეთესო

გუნდი	ქალაქი/სტადიონი	თამაშების რაოდენობა	საშუალო შეფასება
ამერი	თბილისი/ამერი	7	8,7
ტორპედო	ქუთაისი/ტორპედო	8	8,2
ზესტაფონი	ზესტაფონი/ცენტრალური	7	8,0
კახეთი	თელავი/გ. ჩოხელი	8	7,3
სიონი	ბოლნისი/თ. სტეფანია	7	7,1
დინამო	თბილისი/ეროვნული	7	6,9
თბილისი	თბილისი/ოლიმპი	8	6,6
სოხუმი	თბილისი/შევარდენი	7	6,2
სპარტაკი	თბილისი/შევარდენი	7	6,1
ლოკომოტივი	თბილისი/მ. მესხი	9	6,0
ვიტ ჯორჯია	მცხეთა/არმაზი	7	5,8
დილა	გორი/თ. ბურჯანაძე	8	5,6
ცხინვალი	გორი/ქართლი	7	5,6
ბორჯომი	ოლიმპი/ოლიმპიკი/ჯ. ზეინკლიშვილი	7	5,5
ბათუმი	ბათუმი/დინამო	8	5,5
კოლხეთი	ფოთი/ფაზისი	8	5,5

თბილისის დინამო 80 წლისაა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსიხარულო ცხოვრების სიხარული შიში და ფეხბურთი



თბილისის „დინამოს“ ლეგენდა ბორის პაიჭაძე (მარჯვნივ)

ლავრენტი ბერია მეუღლესთან ერთად

თბილისის „დინამოს“ ახლა „დინამო თბილისი“ ჰქვია, მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზეა და პირველლიგელ საჩხერის „ჩიხურასთან“ სათასო მატჩებში 180 წუთი გოლი ვერ გააქვს, მაგრამ ეს ყველაფერი ამ კონკრეტულ შემთხვევაში მთავარი არ არის — თბილისის „დინამოს“ ამ შემოდგომაზე 80 წელი შეუსრულდა.

თბილისის „დინამო“ — ამ ორი სიტყვის მილმა უამრავი განცდა და ამბავია, მაგრამ ყველაფერი სწორედ ამ ორ სიტყვაშია მოქცეული — თბილისის „დინამო“ ალბათ ამიტომაცაა რთული და დიადი.

„დინამო“ ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო, ეროვნული ფენომენი და, თუ გასულ საუკუნეში საქართველოს ისტორიაში ჩვენთვის საამაყო და სასიხარულო მოხდა, 1981 წლის 13 მაისი ყველაზე არა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი თარიღია...

თბილისის „დინამოს“ 80 წლისთავი თვითონ კლუბს ჯერ არ აღუნიშნავს და 2006 წელსაც, როცა „დინამო“ თავისი ისტორიის 81-ე წელს დაიწყებს, ბევრიც არაფერი უკლია.

სხვის საქმეში ვერ ჩავერევით, „დინამოს“ მხოლოდ იმას ვუსურვებთ, ძველი დიდება დაებრუნებინოს, „სარბიელი“ კი „დინამოს“ 80-წლოვან იუბილესთან დაკავშირებით წერილების სერიას გთავაზობთ, რაც სრული სისავსით არ მოიცავს ერთ დროს ქართველთათვის უსაყვარლესი გუნდის ისტორიას, მაგრამ რამდენიმე საინტერესო ამბავს კი მოგვითხრობს...

ის დრო, როცა თბილისის „დინამო“ და საერთოდ ფეხბურთი სახალხო სიყვარულად უნდა გადაქცეულიყო, საშინელი დრო იყო. ეს იყო ყველაზე ცუდი დრო საქართველოს ისტორიაში. ქვეყნის უფროსად იყო ლავრენტი პავლოვიჩ ბერია, ხოლო თბილისის „დინამო“ უწყებრივად მიეკუთვნებოდა ლავრენტის საყვარელ უწყებას, შინსახკომს, ანუ „დინამო“ ჩეკას გუნდი იყო.

სტადიონი რომ ააშენეს, შემთხვევითი არ იყო. სტადიონი იჭედებოდა. ფეხბურთი მთავარი თვალსასეირო რამ იყო. ბერიას სახელობის სტადიონი ალბათ ყველაზე დიდი ნაგებობა იყო თბილისში. ორი მხარე ორიარუსიანი იყო, ორიც — სამიანი.

იმ დროს ფეხბურთის ჯადოქრები თამაშობდნენ, რომლებიც ხალხის ნამდვილი კერპები შეიქნენ, თუმცა ხელფასს, როგორც მილიციელები, ისე იღებდნენ. შესაბამისად, მათ ზოგჯერ მილიციურ-შინსახკომური საქმეც დაევალებოდათ ხოლმე. ყველა ვარსკვლავი ანგარიშვალდებული იყო უფროსობასთან, ოღონდაც, კარგი კაცი ყოველთვის კარგ კაცად რჩებოდა, უვარგისი კი უვარგისად. სტადიონზე მისული მაყურებელი კი ამაზე არც ფიქრობდა, არც იცოდა რაიმე ამ ამბისა.

ჯალათები საქმიანობდნენ, თბილისი მაშინ შიშით შეპყრობილი ქალაქი იყო. ასე ჩანს დღევანდელი მზერით. ოღონდაც, ჭირმა შეჩვევა იცის და, ადამიანებს მაშინაც უხაროდათ ნირგვარი ამბები. ალბათ ის, რაც მართლა სასიხარულო იყო. ქვეყანა შენდებოდა (აგერ, რამხელა სტადიონი წამოიჭიმა), მაგრამ გულში კარგი არაფერი ხდებოდა. იყო შიში და ფეხბურთი. ღამით შავი მანქანების

ძრავების ხმა ისმოდა, სარდაფებში გამალებით მუშაობდნენ. დღისით კი შეგეძლო, გეფიქრა, რა საოცრად თამაშობენ პაიჭაძე და ჯეჯელავა.

მაშინ ფეხბურთელებს ზურგზე ნომრები არ ეწერათ, მათ პოზიციებით ცნობდნენ. მარჯვენა ინსაიდიო, ბეკიო, მარცხენა ჰავბეკიო... დუბლ-ვეს მორგებული პოზიციები იყო. კუთხურს კორნერი ერქვა, ღონიერ დარტყმას შუტი. თუმცა, თუ ვარსკვლავი იყავი, ვარსკვლავად გალიარებდნენ და ჩეკისტი უფროსობა მაინც ანგარიშს გაგიწევდა. ჩვენს მეკარეს, შურა დოროხოვს, ნამდვილ ვარსკვლავს, გულღია ბიჭს, გადახუხვა უყვარდა. მოუთმენდნენ იმიტომ, რომ მეორეს ასეთს ვერ იპოვიდნენ, არადა, სპორტი სამოყვარულო იყო. მაგრამ იმ საშინელ სახელმწიფოს უკვე გადაეწყვიტა, რომ ფეხბურთი ძალიან სჭირდებოდა. ლავრენტი ბერია კი მიმხვდარიყო, რომ ფეხბურთი თავგამოჩენის ერთ-ერთი საშუალებაა. შურა დოროხოვი კი მოდასაც არღვევდა: შავით შემოსილ საბჭოთა მეკარეთაგან განსხვავებით მას მწვანე სვიტერი და თეთრი ტრუსები ეცვა ხოლმე.

იმ დროს, როცა „დინამო“ სახალხო სიყვარული ხდებოდა, თბილისში ერთადერთი სანაყინე იყო პლეხანოვის პროსპექტზე. ამ პროსპექტის ბოლოში კი, მუშტაიდის ბაღის კიდეზე, სტადიონი.

მგონი, სწორედ ეს სტადიონი იყო ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა იმ საზიზღარ დროში. საერთოდ, სტადიონი თავისუფლებას ნიშნავს. ასე იყო ძველ ელინთა დროში, ასე იყო ბიზანტიაში. ასე იყო ყველგან, სადაც სტადიონის არსი შეგნებული ჰქონდათ. იმ სტალინ-ბერიას დროზე თავს ვერავინ დადებს, მაგრამ მერედა-მერე ეს სტადიონი ყველაზე თავისუფალ ადგილად იქცა თბილისში. ასე განსაჯეთ, რომ დაანგრიეს და ახალი ააშენეს, უფრო დიდი, ვინაიდან თბილისის „დინამო“ და ფეხბურთი უკვე იმხელა მნიშვნელობის რამედ ქცეულიყო ამ პატარა კოლონიისთვის, რომ ყველას ესმოდა: კარგი ფეხბურთი, კარგი განწყობა, კმაყოფილება, სიმშვიდე.

ვინ იცის, ამას ეგებ ლავრენტი ბერიაც მიხვედრილი იყო, ძნელბედობის ჟამს დინამოელთა გასახდელში რომ ჩარბოდა და თამაშის წინ ან სულაც შესვენებაზე რომ მოითხოვდა უპირობო გამარჯვებას.

ის იყო აუტანელი დრო და სწორედ იმ დროს იბადებოდა ხალხის უდიდესი სიყვარული: თბილისის „დინამო“.

ირაკლი გამყრელიძე

ვინ რას ამბობს რონალდინიოზე

„ის, ახლა ყველაზე მაგარია. არ ვიცი, რონალდინიო ვის შევადარო, უბრალოდ, ვიტყვი: როცა სტადიონზე ან ტელევიზორში რონის ბურთაობას ვუყურებ, მიხარია, რომ ასეთ შესანიშნავ სანახაობას მოვესწარი“ — უთხრა ალფრედო დი სტეფანომ კატალონიურ „სპორტს“.

„რონალდინიო თანამედროვე პელეა. ის საოცარი მოთამაშე გახლავთ და ინჩასები მისი მოედანზე ხილვით ბედნიერნი უნდა იყვნენ. მსოფლიომ ბევრი მოიგო, რონალდინიოსთანა სწორუპოვარი მობურთალი რომ ჰყავს“ — განუცხადა ბრაზილიაში ლეგენდარულმა პელემ იქაურ მედიას.

„დარწმუნებული ვარ, იგი „კამპ ნოუზე“ საკუთარ ისტორიას დაწერს. ღმერთმა ქნას, რონალდინიომ იმდენივე ჯილდო მოიგოს, რამდენიც მე მოვიგე“ — ისურვა „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ იოჰან კრუიფმა.

„ყოველთვის მჯეროდა, რონალდინიო ჩემი ღირსეული შემცვლელი რომ იქნებოდა. ახლა ბევრი კამათობს, მარადონას მემკვიდრე არგენტინის ნაკრებში თამაშობს თუ სხვა ეროვნულ გუნდში. მე კი ვიტყვი, „მეორე მარადონა“ ახლა „ბარსელონაში“ ბურთაობს. ის ნამდვილი ჯადოქარია“ — ეს კი დიდი დიეგოს სიტყვებია.

მოკლედ, ეს ის დითირამბებია, ორიოდ დღის წინ ესპანელ ჟურნალისტებს ალფრედო დი სტეფანომ, პელემ, იოჰან კრუიფმა და დიეგო მარადონამ რომ უთხრეს. თითოეულმა მათგანმა დღეს მსოფლიოს საუკეთესოდ ბრაზილიელი რონალდინიო დაასახელა. რატომაც არა?

ლადო ხომერიკი



ჯიბრილ სისე

რაფაელი გაბრაზებულია

ჯიბრილ სისე შეიძლება „ლივერპულიდან“ გაუშვან — ფრანგი ფორვარდი „სანდერლენდთან“ მატჩში არც ძირითად შემადგენლობაში შეიყვანეს და არც შეცვლაზე.

მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი იმან გააბრაზა, რომ სისემ „მანჩესტერ სიტისთან“ თამაშის შემდეგ მასზე აუგი თქვა. ფრანგი მეგოლე „სიტისთან“ შეცვალეს, რასაც მისი გაბრაზება მოჰყვა, ხოლო ბენიტესმა განაცხადა, ასეთ გამოხდომას არც ერთ ფეხბურთელს არ ვაპატიებო.

„სანამ მწვრთნელი ვარ, გადაწყვეტილებას თავად მივიღებ. მე უნდა ვთქვა, ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში და ვის შევცვლი მატჩის მსვლელობისას“ — მოკლედ მოჭრა ბენიტესმა.

ასეა თუ ისე, ფაქტია — ჯიბრილ სისეს „ლივერპულში“ საქმე კარგად ვერ აეწყო და „მარსელი“ უკვე სამი თვეა, მის გადაბირებას ცდილობს. ფრანგმა ფორვარდმა ბენიტესს თუ ვერ გაუგო, ალბათ, იანვარში სწორედ „მარსელს“ მიაშურებს.

ვაჟა ხუციშვილი

დუდეკი: ჰო თუ არა?



ირჟი დუდეკი

ინგლისური „ლივერპულის“ პოლონელმა მეკარემ ირჟი დუდეკმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ თუ მისთვის ძირითად შემადგენლობაში ადგილი არ გამოიძებნება, საერთოდ წავა მერსისაიდული გუნდიდან.

გეხსომებათ, რომ 32 წლის ირჟი დუდეკი ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირი გახლდათ — სწორედ მან მოიგერია სტამბოლში, „მილანთან“ დრამატული შეხვედრის ბოლოს, მატჩის შემდგომ პენალტებში გადამწყვეტი დარტყმები და „ლივერპულს“ ჯილდო მოაგებინა. მიუხედავად ამისა, გუნდის მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი ახალ სეზონში მას ხოსე მანუელ რეინას ამჯობინებს.

„არ მინდა, კარში ადგილის დასაკავებლად კოლეგის ტრავმას ველოდო. ერთობ რთულ მდგომარეობაში ვარ, რადგან თუ კლუბში არ ვითამაშებ, ნაკრებში ვერ მოვხვდები და მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წამიყვანენ, რაც ჩემთვის ნამდვილი უბედურების ტოლფასია“ — თქვა დუდეკმა.

მართლაც, ირჟი დუდეკს ამ სეზონში „ლივერპულის“ შემადგენლობაში ჯერ თამაში არ ჩაუტარებია და ნაკრებშიც სელტიკელ არტურ ბორუცს ათამაშებენ.

ერთი სიტყვით, თუ დუდეკი „ლივერპულს“ არ უნდა, არც მას უნდა „ლივერპული“ და არ არის გამორიცხული, იანვარში პორტუგალიაში, ლისაბონის „ბენფიკასკენ“ გასწიოს, რომელსაც ჰოლანდიელი რონალდ კუმანი წვრთნის.

პაპუნა კედია



კეისი კელერი საუკეთესო ამერიკელი ფეხბურთელია

კელერი გაღმიდან აღიარეს

მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მეკარე კეისი კელერი ამერიკაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. იგი „ტოტენჰემიდან“ ბუნდესლიგურ გუნდში იანვარში გადაბარგდა. კელერმა „მამლებში“ სამწელიწადნახევარი გაატარა და ამერიკის რჩეულ მოთამაშედ პირველად 1999-ში დაასახელეს.

კეისი კელერმა ხუთი სეზონი „მილუოლშიც“ (1991-1996) დაჰყო, მერე კი „ლესტერში“ გადავიდა, სადაც სამ წელიწადი ითამაშა და ესპანეთის, მდრიდულ „რეალ ვალეჯოს“ მაშურა.

ესპანეთიდან პრემიერლიგის „ტოტენჰემში“ აღმოჩნდა. 2004 -ის იანვარში „საუთჰემპტონში“ გაანათხოვრეს, სადაც ექვსი თვე დარჩა. „საუთჰემპტონიდან“ ბუნდესლიგური გლადბახის „ბორუსიაში“ გადავიდა.

მეორე ადგილზე ლანდონ დონოვანი დაიკავა, ხოლო მესამეზე დამარკუს ბისლი. კელერმა ჯილდო იმის გამო დაიმსახურა, რომ აშშ-ის ნაკრების კარი თოთხმეტ მატჩში „მშრალად“ შეინახა.

ვაჟა ხუციშვილი

ძველი ახალია

მანდარიჩი მწვრთნელებს ფცქვნის

„პორტსმუთის“ პატრონი მილან მანდარიჩი ალენ პერენის შემცვლელს ეძებს, რომელიც ერთი კვირის წინ გაათავისუფლა. სერბმა მილიონერმა „შეფილდ იუნაიტედის“ თავკაც ნილ უორნოკს მიაკითხა, მაგრამ მან უარით გაისტუმრა.

ამჯერად მანდარიჩი „საუთჰემპტონის“ მწვრთნელ ჰარი რედნაპს მიადგა, რომელიც „პორტსმუთიდან“ თვითონ გაუშვა ერთი წლის წინ. ჰარი რედნაპის თავკაცობით „პორტსმუთი“ 2003 წელს პრემიერლიგაში გადაბარგდა და მიუხედავად ამისა, ამაგი არ დაუფასეს.

„ჩვენ „საუთჰემპტონს“ ოფიციალურად მივმართეთ და პასუხს ველით“ — განაცხადა მილან მანდარიჩმა — რომელმაც რედნაპს ექვსთვიანი კონტრაქტი შესთავაზა სეზონის ბოლომდე. „პორტსმუთი“ პრემიერლიგაში თუ დარჩება, მაშინ რედნაპს ხელშეკრულებას გაუხანგრძლივებენ.

„სრული სიცრუეა, რომ მე რედნაპთან უთანხმოება მაქვს. ასე რომ იყოს, მას არც ვთხოვდი გუნდის მწვრთნელობას“ — დასძინა ბოლოს მანდარიჩმა.

ვაჟა ხუციშვილი

ტორესი წასვლაზე აღაპარაკდა

ბრიტანულმა გაზეთმა „მირორმა“ გუშინ დაწერა, ლონდონური „ჩელსი“ ფერნანდო ტორესის სანაცვლოდ დიდძალ ფულს არ დაიშურებსო — რომან აბრამოვიჩი თურმე მზადაა, მადრიდულ „ატლეტიკოს“ „ელ ნინიოში“ 25 მილიონი გირვანქა გადაუხადოს, რაც 38,5 მილიონი ევროს ტოლფასია.

„ჩელსი“ მადრიდელ „ათლეტებს“ ტორესის დათმობას პირველად როდი სთხოვს. ბრიტანელებმა „ელ ნინიოს“ თვალი ადრეე დაადგეს, ოღონდ აქამდე ტორესი ჩრდილოეთში გადაბარგებაზე ყბულს არ იყო, ახლა კი- თუ ამ სეზონში „ატლეტიკომ“ ვერფერი მოიგო, გუნდიდან წავალო, უთქვამს ტორესს.

ლადო ხომერიკი

ჰოლანდია

ერედივიზიონი

გადადებული მატჩები

ტვენტე 1:0 სპარტა

1:0 გერიტსენი (90)

ბრედა 2:2 გრონინგენი

1:0 ვან ჰოიდონკი (9), 1:1 კორნელისე (183), 2:1 სლოტი (81), 2:2 სალმონი (88)

ნაიმეგენი 2:0 ტილბურგი

1:0 დენებოომი (2), 2:0 ე. ბარეტო (51)

პსვ ეინდჰოვენი	13	10	2	1	27:9	32
ფეიენოორდი	13	10	1	2	37:14	31
აიაქსი	13	9	2	2	36:13	29
ვიტესი	13	7	2	4	27:20	23
ვალვაიკი	13	7	2	4	27:21	23
ჰერენვენი	13	6	3	4	25:20	21
უტრეხტი	13	6	3	4	18:14	21
ნაიმეგენი	13	5	4	4	15:15	19
აიაქსი	13	5	3	5	17:13	18
ბრედა	13	5	3	5	18:20	18
ტვენტე	13	5	2	6	16:14	17
გრონინგენი	13	5	2	6	13:18	17
ჰერაკლესი	13	4	3	6	14:28	15
როდა	13	4	1	8	20:30	13
სპარტა	13	3	3	7	10:18	12
დენ ჰაგი	13	2	3	8	10:23	9
ტილბურგი	13	2	2	9	11:25	8
როზენდალი	13	0	3	10	6:32	3

მექსიკა

კლაუსურა. პლეი ოფი

1/4 ფინალი. I მატჩები

ტეკოსი 0:3 მონტერეი

პაჩუკა 2:0 ნეკაძსა



„სანდერლენდს“ პირველმა ლუის გარსიამ (შუაში) გაუტანა

კატების კნავილი

ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

სანდერლენდი 0:2 ლივერპული

0:1 ლუის გარსია (30), 0:2 ჯერარდი (45)

სანდერლენდი: ელნვიკი, ჰოიტი (ნოსვორთი 77), ბრინი, კოლდუელი, კოლინზი, უიტჰედი, ლოურენსი (ჯ. გრეი 86), ბასილა, ჩ. მილერი (უელში 57), სტიდი, მ. ბრაუნი

მწვრთნელი: მიკ მაკარტი

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე (უორნოკი 90), ჯერარდი, სისოკო, ხაბი ალონსო, ლუის გარსია, მორიენტესი (კიუელი 60), კროუჩი (ჯ. ტრაორე 79)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: ფინანი, სისოკო, სისოკო

გაძევება: სისოკო (65)

მსაჯი: დოუდი

32 697 მაყურებელი

„ლივერპულმა“ პრემიერლიგის გადადებულ მატჩში „სანდერლენდს“ შანსი არ დაუტოვა და მორიგი სამი ქულა მიითვალა. ამ გამარჯვებით მერსისაიდელებმა მეოთხე ადგილზე აინაცვლეს.

შეხვედრა თავიდანვე სტუმართა უპირატესობით დაიწყო და რაფაელ ბენიტესის შეგირდებს წინ გასვლა დებიუტშივე შეეძლოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს. სამაგიეროდ, 36-ე წუთზე ლუის გარსიამ თანამემამულე ხაბი ალონსოს პასი შეირგო და მეკარე ბენ ელნვიკს შანსი არ დაუტოვა.

„ლივერპულმაც“ მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადაწყვიტა, რაკი შესვენებამდე რამდენიმე წამით ადრე, გუნდის კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა თავისი მორიგი გოლი შეაგდო — ზუსტი და მშვენიერი პასი კვლავ ხაბი ალონსომ გააკეთა, ხოლო ჯერარდმა ცარიელ კარში აუღელვებლად გადაგზავნა ბურთი.

მეორე ტაიმში მერსისაიდელები კაცნაკლულნი თამაშობდნენ, მაგრამ მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ და მხოლოდ ბოლო წამებზე მოუხდათ მეტოქის ერთი-ორი სახიფათო იერიშის მოგერიება. მინდვრიდან მოჰამედ ლამინ სისოკო გაამევეს, რომელიც ძალიან აგრესიული იყო და უხეშობდა.

„ჩვენი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. უბრალოდ, მეტოქემ კლასით გვაჯობა. ახლა მთავარია, „ასტონ ვილასთან“ და „ბირმინგემთან“ არ დავკარგოთ ქულები“ — თქვა „შავი კატების“ თავკაცმა მიკ მაკარტიმ.

რაფაელ ბენიტესი: „გუნდი მართლაც მთელი დატვირთვით შრომობს და საგოლე მომენტებსაც ნაკლებად ვანიავებთ, რაც სასიხარულოა. თანაც კარი ისევ მშრალად შევინახეთ. ვწუხვარ, სისოკოს გაძევების გამო, იგი რატომღაც აგრესიულად იყო განწყობილი და ვუთხარი კიდეც, დაისვენე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა“.

							კოკი კანდელაკი
ჩელსი	14	12	1	1	33:7		37
მანჩესტერი	13	8	3	2	21:13		27
არსენალი	13	8	2	3	22:10		26
ლივერპული	13	7	4	2	15:8		25
უიგანი	13	8	1	4	16:10		25
ტოტენჰემი	14	6	6	2	16:10		24
ბოლტონი	13	7	2	4	15:13		23
სიტი	14	6	3	5	14:11		21
ვესტ ჰემი	13	5	4	4	16:12		19
მიდლსბრო	14	5	4	5	20:20		19
ჩარლტონი	13	6	1	6	17:18		19
ნიუკასლი	14	5	3	6	12:14		18
ბლექბერნი	14	5	3	6	15:18		18
ფულჰემი	14	4	3	7	16:20		15
ასტონ ვილა	14	4	3	7	14:22		15
ევერტონი	13	4	1	8	5:16		13
ვესტ ბრომვიჩი	14	3	3	8	15:24		12
პორტსმუთი	14	2	4	8	11:20		10
ბირმინგემი	13	2	3	8	8:17		9
სანდერლენდი	15	1	2	12	12:30		5

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ატალანტამ კოზმი დასაჯა

იტალია

თასის 1/8 ფინალი. I მატჩები

ატალანტა 1:0 უდინეზე

1:0 ა. დაგოსტინო (53)

პარმა 0:1 ინტერი

0:1 მარტინსი (74)

ინტერი: ტოლდო, ანდრეოლი, ბურდისო, მიხაილოვიჩი, ვომე, სოლარი, ჯ. ძანეტი, მაა-ბუმსონგი (კამბიასო 67), მომენტე (მატერაცი 71), ხ. კრუზი (რეკობა 75), ო. მარტინსი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

სინიშა მიხაილოვიჩმა (მარჯვნივ) ახალგაზრდობა გაიხსენა

მილანის „ინტერმა“ ქვეყნის თასის ნახევარფინალში თამაში თითქმის გაინაღდა, რადგან „ნეროაძურიმ“ „პარმა“ თავისივე „ენიო ტარდინიზე“ წააქცია და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, მეტოქეს რამე რომ დაუთმოს.

მატჩმა სტუმრების სრული უპირატესობით განვლო, რომ ვთქვათ, არ ვიქნებით მართალი — შეხვედრამ ორმხრივ იერიშებში ჩაიარა. უბრალოდ, „ინტერმა“ მეტოქეს კლასით აჯობა.

„ინტერის“ რიგებში საუკეთესო სინიშა მიხაილოვიჩი იყო, რომელიც ჩვეულ სტილში აწვდიდა სახიფათო კუთხურებს და ჯარიმებს ასრულებდა, მაგრამ პარმელთა ახალგაზრდა მეკარე ლუკა დე ლუჩიას ვერ აჯობა. მასპინძელთაგან კი ერთ-ერთი საუკეთესო 17 წლის პაპონი გახლდათ, რომელიც მინდორზე 55-ე წუთზე შეიდა.

მატჩის გადამწყვეტი ეპიზოდი 74-ე წუთზე დადგა. მილანელთა ნიგერიელ ფორვარდ ობაფემი მარტინსს დე ლუჩიამ ზედიზედ ორჯერ აუღო, მაგრამ ერთი წუთის მერე სინიშა მიხაილოვიჩის ჩაწოდებულის შემდეგ აფრიკელმა თავურით უშანსოდ დატოვა მეტოქის კარის დარაჯი.

პარალელურად ბერგამოში, „ატალანტა“ და „უდინეზე“ ბურთაობდნენ. შეხვედრამ მასპინძელთა სრული უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ მათ მხოლოდ ერთხელ შეძლეს ბრწყინვალედ მოთამაშე გაბრიელე პაოლეტისთვის გოლის გატანა.

„ატალანტას“ უპირატესობით განსაკუთრებულად პირველმა ტაიმმა ჩაიარა. საუკეთესო შანსი ანტონიო დაგოსტინოს ჰქონდა, რომელსაც პაოლეტმა შესაშურ ნახტომში აუღო. ცოტა ხანში კი ანდრეა ლაკარის კარგი პასის მერე იგორ ბუდანმა აკილა კარს.

ბერგამოელებმა საწადელს 53-ე წუთზე მიაღწიეს — დუჩიოს კროსს დაგოსტინო შედეგიანად გამოეხმაურა.

დარჩენილ წუთებში უკეთ ისევ „ატალანტა“ გამოიყურებოდა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო. უშანსოდ არც „უდინეზე“ ყოფილა, თუმც სტუმრებმა განსაკუთრებული ვერაფერი აჩვენეს. აღვნიშნოთ ისიც, რომ სერსე კოზმიმ თავისი გუნდი საკმაოდ ექსპერიმენტული შემადგენლობით ათამაშა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც, მაგრამ რამდენიმე ახალგაზრდამ მას თავი მაინც მოაწონა.

კოკი კანდელაკი

ელგერამ სამი წელი მოიმატა

იკერ კასილიასის შემდეგ მადრიდის „რეალთან“ კონტრაქტი კიდევ ერთმა ფეხბურთელმა, ივან ელგერამ გაახანგრძლივა. ელგერას ძველი ხელშეკრულებით „სანტიაგო ბერნაბეუზე“ 2006 წლის ივნისამდე უწევდა დარჩენა, ახლა კი კანტაბრიელი მცველი „სამეფო კლუბში“ 2009 წლამდე იბურთავებს.

„რეალის“ გარდა არც ერთ სხვა გუნდში თამაშს არ ვაპირებ. კონტრაქტი კიდევ ორი წლით გავახანგრძლივე და 2009-ში ოცდათოთხმეტის ვიქნები. კარიერასაც ალბათ, აქ, „ბერნაბეუზე“ დავასრულებ“ — განუცხადა ელგერამ გაზეთ „მარკას“.

ივან ელგერა თავის დროზე „ალბასეტეში“ ბურთაობდა, მერე კი იტალიურ „რომაში“ ამოჰყო თავი. მაგრამ, ესპანელი მცველი აპენინელებს ვერ შეეწყო და მალე მშობლიურ პრიმერას დაუბრუნდა. იქ ჯერ „ესპანიოლში“ გახლდათ, 1999 წლის ზაფხულში კი „რეალში“ დაიწყო თამაში.

მადრიდელებთან ერთად ივან ელგერამ ორჯერ ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ ქვეყნის ჩემპიონობა, ორჯერ ესპანეთის სუპერთასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი მოიგო.

ლადო ხომერიკი

თვალ-თვალი

AFP

ჭეშმარიტება სადღაც იქაა.
მარჯვნივ თუ მარცხნივ? მანჩესტერელი უეინ რუნისთვის მარცხნივ, არბიტრ რობ სტაილზისთვის კი — მარჯვნივ. მოდი და, გაიგე.
თუმცა სამართალი ყოველთვის მსაჯის მხარესაა.

უკანასკნელი ინტერვიუ ჯორჯ ბესტ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

ჟურნალ FIFA MAGAZINE-ის კორესპონდენტმა, ნილ ჰერვიმ აგვისტოში ჯორჯ ბესტს ინტერვიუ რომ ჩამოართვა, უკანასკნელი გამოდგა დიდი ვარსკვლავის ცხოვრებაში. დღეს ჩვენ ამ ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ. ტექსტიდან ამოვიღეთ მხოლოდ ის ნაწილები, სადაც ჯანმრთელობასა და სამომავლო გეგმებზეა საუბარი. მიზეზი ნათელია — ხვალ ჯორჯ ბესტს ბელფასტში კრძალავენ



— თუ შეიძლება, თქვენი ბავშვობის დღეები მოიგონეთ, როდესაც ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ბელფასტის ქუჩებში დარბოდით...

— ფეხბურთი მაშინდელი ბავშვებისთვის რაღაც განსაკუთრებული იყო. ჩვენ კომპიუტერები და პლეი სტეიშენები არ გვქონდა, ამიტომ ერთადერთი, რითაც დილიდან საღამომდე ვიყავით დაკავებული, ბურთის დევნა გახლდათ. სკოლაში მივდიოდით და სანამ გაკვეთილები დაიწყებოდა, ფეხბურთს ვთამაშობდი. იმავეს ვაკეთებდი გაკვეთილების შემდეგაც, სანამ მშობლები არ მომიკითხავდნენ და შინ არ შემაგდებდნენ. ერთი სიტყვით, პირველი ნაბიჯები გადავდგი თუ არა, ბურთის თამაში დავიწყე და სხვა არაფერი მინდოდა.

— „მანჩესტერ იუნაიტედში“ 1961 წელს მიხვედით. მაშინ 15 წლისა ბრძანდებოდით და, ალბათ, ამხელა გუნდში მისვლამ დიდად აღგაფრთოვანათ...

— რა თქმა უნდა, „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოწყობაზე ვერც ვოცნებებდი. ჩვენი საბავშვო გუნდის მწვრთნელი დაუკავშირდა ირლანდიაში, „იუნაიტედის“ შეფ-სკაუტ ბობ ბიშოპს და ჩემი თამაში აჩვენა. ეს ამბავი მიუნხენის 1959 წლის ტრაგედიის შემდეგ მოხდა, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ შესაძლოა, ყველას უსაყვარლესი გუნდი არ იყო, მაგრამ ყველასთვის მეორე გუნდი ნამდვილად გახლდათ. დღესაც კი, ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიის რესპუბლიკაში ამ გუნდს საოცარი რაოდენობის ხალხი უჭერს მხარს.

— მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ლეგენდარული მატ ბასბი ედგა სათავეში. როგორი კაცი იყო?

— საოცარი ადამიანი გახლდათ. თავიდან ვემალებოდი, რადგან ამ უდიდესი ავტორიტეტის ადამიანთან გამოჩენისა მერიდებოდა, მერე და მერე კი ჩემი დამრიგებელი გახდა. იცით, მანჩესტერში საუცხოო დიასახლისი შემხვდა, რომელიც მეორე დედად მივიღე, მატ ბასბი კი ჩემი მეორე მამა გახდა. მრავალი წლის შემდეგ, როდესაც თამაშს თავი დავანებე და ავად გავხდი, ის პირველი იყო, ვინც საავადმყოფოში მინახულა. ჩვენი საგანგებო ურთიერთობა მის სიკვდილამდე, 1994 წლამდე გაგრძელდა.

— „იუნაიტედის“ დიდ გუნდში პირველად 1963 წელს, 17 წლისამ ითამაშეთ. ინგლისის ჩემპიონის ტიტული პირველად 1965 წელს მოიპოვეთ. რა გახსოვთ იმ დროიდან?

— წარმოუდგენლად სასიამოვნო გრძნობა იყო. საჩემპიონო სეზონში მხოლოდ ერთი თამაში გამოვტოვე და ჩემპიონთა თასზეც გავედით. იცით, გაწრუპული ბელფასტელი ბიჭისთვის, რომელიც ბურთს ქუჩებში დასდევდა, ეს ორი წელიწადი დიდი ბედნიერებისა გახლდათ. სტადიონებზე აურაცხელი ხალხი დადიოდა და ძალიან ბევრი ძლიერი გუნდიც თამაშობდა. დღევანდელივით კი არ იყო, ზუსტად რომ შეგიძლია დაასახელო, გამარჯვებული წინასწარ ცნობილი ორი-სამი გუნდიდან რომ იქნება. დათვალეთ, სამოციან წლებში რამდენმა გუნდმა მოიგო ჩემპიონის ტიტული.

— ინგლისის ჩემპიონის ტიტული ხელმეორედ 1967 წელს მოიგეთ და 1968-ში ჩემპიონთა თასიც მოიპოვეთ...

— ნამდვილი ოქროს ხანა იყო, არა? ინგლისის ნაკრებმა 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, „სელტიკმა“ 1967 წელს მოიგო ჩემპიონთა თასი. ასე რომ, 1968-ში აშკარად ჩვენი ჯერი იდგა. თან ნახევარფინალში „რეალი“ დავამარცხეთ, მაგრამ ხომ იცით, რისკი ყოველთვისაა, მითუფრო, როდესაც ისეთ გუნდს ეთამაშები, როგორიც „बენფიკაა“. მოკლედ, შეხვედრა „უემბლიზე“ იყო და 90 წუთი 0:0 დასრულდა. მართალი გითხრათ, ძირითადში კარგი თამაში სულაც არ იყო, მაგრამ დაიწყო დამატებითის პირველი 15 წუთი და ჩვენ გამოვფიზხლდით. „მანჩესტერის“ მეორე გოლი მე გავიტანე. ჰოდა, თხუთმეტი წლის რომ ვიყავი, ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, „უემბლიზე“ ჩემპიონთა თასის ფინალში 100 ათასი მაყურებლის წინაშე ითამაშებ და გოლს გაიტანო, გიჟი მეგონებოდა.

— და 37 წლის შემდეგ, ეს ისევ თქვენი საუკეთესო საფეხბურთო მოგონებაა?

— ეს მართლაც განსაკუთრებული მოგონებაა. ყველაზე გემრიელად საფინალო სასტვენი მახსოვს, როდესაც ყველანი ბასბისკენ გავიქეცით. იცით, ის მოედნისკენ კი არ გამორბოდა, დინჯად მოსეირნობდა და მე ღელავდა ცხადად მიდგას თვალწინ მისი სახე. და კიდევ, თუ მაშინდელ სურათებს მოძებნით და დააკვირდებით, ნახავთ, რომ მე ვარ ერთადერთი თეთრმისურიანი მანჩესტერელი, იმიტომ, რომ ჩემი, „बेनफिकას“ ბიჭებიდან რომელიღაცას გავუცვალე.

— სამწუხაროდ, დიდება „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დიდხანს არ გაჩერებულა. 1974 წელს გუნდი ინგლისის მეორე დივიზიონში გავარდა...

— 1969 წელს მხოლოდ მატ ბასბი კი არ წავიდა გუნდიდან, ძალიან მოკლე დროში ბევრი კარგი მოთამაშე დაიფანტა და ისინი ისეთივე დონის ფეხბურთელებით ვერ შეცვალეს.

— და, თქვენ ვარჯიშების გაცდენა დაიწყეთ. 1972 წელს კი, სულ რაღაც 26 წლისამ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტეთ. რატომ?

— მივდივარ-მეთქი, ერთხელ კი არა, ექვსჯერ გამოვაცხადე. იცით, როგორ იყო? მიდიოდნენ და მოდიოდნენ ახალ-ახალი მწვრთნელები და მეც მეგონა, რომ ისინი გუნდში ახალ, კარგ ფეხბურთელებს მოიყვანდნენ. წასვლით 1972 წელს წავედი და მანამდე, თითქმის ბოლომდე, მოედანზე ყოველი გასვლის წინ მჯეროდა, რომ ვერავინ დაგვამარცხებდა, მაგრამ ბოლოს უკვე ვიცოდი, რომ სუსტი გუნდი გვყავდა. საქმეც სწორედ ეს გახლდათ — ფეხბურთის თამაში კი არ მომბეზრდა, წაგებები არ მინდოდა.

— მაგრამ, განა მოედანს მიღმა მიზეზები არ გქონდათ? ბიზნესი, ღამის კლუბები, ქალები...

12011 ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	1.70	1.90
12012 მანჩესტერი-პორტსმუთი	1.90	1.70
12014 ჩარლტონი-სიტი	1.70	1.90
12015 ბირმინგემი-ვესტ ჰემი	1.60	2.00
12061 შტუტგარტი-ბაიერნი	1.90	1.70
12063 ვერდერი-დუისბურგი	2.20	1.50
12065 კაისერსლაუტერნი-აინტრასტი	2.00	1.60
12066 დორტმუნდი-ჰანოვერი	2.00	1.60
12067 ჰამბურგი-კიოლნი	2.00	1.60
12068 მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	2.00	1.60
12070 არმინია-შალკე	1.90	1.70
12071 მაინცი-ვოლფსბურგი	1.90	1.70
12072 ლევერკუსენი-ჰერტა	1.90	1.70
12127 კიევო-მილანი	1.90	1.70
12128 ინტერი-ასკოლი	2.00	1.60
12130 პალერმო-კალიარი	1.90	1.70
12132 სამპდორია-ემპოლი	1.90	1.70
12133 ფიორენტინა-იუვენტუსი	1.90	1.70
12134 უდინესე-ლივორნო	1.70	1.90
12135 ტრევისო-მესინა	1.60	2.00
12136 რეჯინა-პარმა	1.60	2.00
12137 ლაციო-სიენა	1.70	1.90
12138 ლეჩე-რომა	1.90	1.70
12171 ბილბაო-ატლეტიკო	1.60	2.00
12172 ვილიარეალი-ბარსელონა	1.90	1.70
12173 სელტა-ბეტისი	1.70	1.90
12175 რეალი-სეტაფე	2.00	1.60
12176 სევილია-დეპორტივო	1.60	2.00
12177 ალავესი-მალიორკა	1.70	1.90
12178 მალაგა-ოსასუნა	1.70	1.90
12180 რასინგი-სოსიედადი	1.70	1.90
12181 ესპანიოლი-ვალენსია	1.70	1.90
12182 კადისი-სარაგოსა	1.60	2.00

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

	კი	არა
13003 ლივერპული-უიგანი	1.70	1.90
13004 ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.70	1.90
13006 ჩელსი-მიდლსბრო	2.00	1.60
13008 ბოლტონი-არსენალი	1.70	1.90
13009 ნიუკასლი-ასტონ ვილა	1.70	1.90
13010 ბლეკბერნი-ევერტონი	1.70	1.90
13011 ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	1.70	1.90
13012 მანჩესტერი-პორტსმუთი	1.90	1.70
13014 ჩარლტონი-სიტი	1.70	1.90
13015 ბირმინგემი-ვესტ ჰემი	1.70	1.90
13061 შტუტგარტი-ბაიერნი	1.60	2.00
13063 ვერდერი-დუისბურგი	1.90	1.70
13065 კაისერსლაუტერნი-აინტრასტი	1.60	2.00
13066 დორტმუნდი-ჰანოვერი	1.60	2.00
13067 ჰამბურგი-კიოლნი	1.70	1.90
13068 მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	1.70	1.90
13070 არმინია-შალკე	1.70	1.90
13071 მაინცი-ვოლფსბურგი	1.60	2.10
13072 ლევერკუსენი-ჰერტა	1.60	2.10
13127 კიევო-მილანი	1.70	1.90
13128 ინტერი-ასკოლი	1.90	1.70
13130 პალერმო-კალიარი	1.70	1.90
13132 სამპდორია-ემპოლი	1.70	1.90
13133 ფიორენტინა-იუვენტუსი	1.60	2.00
13134 უდინესე-ლივორნო	1.70	1.90
13135 ტრევისო-მესინა	1.70	1.90
13136 რეჯინა-პარმა	1.70	1.90
13137 ლაციო-სიენა	1.70	1.90
13138 ლეჩე-რომა	1.70	1.90
13171 ბილბაო-ატლეტიკო	1.70	1.90
13172 ვილიარეალი-ბარსელონა	1.70	1.90
13173 სელტა-ბეტისი	1.70	1.90
13175 რეალი-სეტაფე	1.70	1.90
13176 სევილია-დეპორტივო	1.70	1.90
13177 ალავესი-მალიორკა	1.70	1.90
13178 მალაგა-ოსასუნა	1.70	1.90
13180 რასინგი-სოსიედადი	1.70	1.90
13181 ესპანიოლი-ვალენსია	1.70	1.90
13182 კადისი-სარაგოსა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შანსი ნაგებად ჩაითვლება)

14003 ლივერპული-უიგანი	1.30	2.50
14004 ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.20	2.60
14006 ჩელსი-მიდლსბრო	1.05	2.90
14008 ბოლტონი-არსენალი	2.30	1.60
14009 ნიუკასლი-ასტონ ვილა	1.60	2.30
14010 ბლეკბერნი-ევერტონი	1.65	2.20
14011 ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	1.85	1.95
14012 მანჩესტერი-პორტსმუთი	1.05	2.90
14014 ჩარლტონი-სიტი	1.80	2.00
14015 ბირმინგემი-ვესტ ჰემი	1.80	2.00
14061 შტუტგარტი-ბაიერნი	2.20	1.65
14063 ვერდერი-დუისბურგი	1.05	2.90
14065 კაისერსლაუტერნი-აინტრასტი	1.80	2.00
14066 დორტმუნდი-ჰანოვერი	1.40	2.40
14067 ჰამბურგი-კიოლნი	1.20	2.60
14068 მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	1.35	2.70
14070 არმინია-შალკე	2.10	1.75
14071 მაინცი-ვოლფსბურგი	1.70	2.10
14072 ლევერკუსენი-ჰერტა	1.70	2.10
14127 კიევო-მილანი	2.40	1.40
14128 ინტერი-ასკოლი	1.04	2.90
14130 პალერმო-კალიარი	1.35	2.50
14132 სამპდორია-ემპოლი	1.40	2.40
14133 ფიორენტინა-იუვენტუსი	2.00	1.80
14134 უდინესე-ლივორნო	1.65	2.20
14135 ტრევისო-მესინა	1.85	1.95
14136 რეჯინა-პარმა	1.70	2.20
14137 ლაციო-სიენა	1.60	2.30
14138 ლეჩე-რომა	2.00	1.80
14171 ბილბაო-ატლეტიკო	1.85	1.95
14172 ვილიარეალი-ბარსელონა	2.20	1.70
14173 სელტა-ბეტისი	1.60	2.30
14175 რეალი-სეტაფე	1.15	2.60
14176 სევილია-დეპორტივო	1.75	2.10
14177 ალავესი-მალიორკა	1.80	2.00
14178 მალაგა-ოსასუნა	1.90	1.90
14180 რასინგი-სოსიედადი	1.85	1.95
14181 ესპანიოლი-ვალენსია	1.90	1.90
14182 კადისი-სარაგოსა	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15003	ლივერპული-უიგანი	3.00	2.80	2.00
15004	ტოტენჰემი-სანდერლენდი	3.00	2.80	2.00
15006	ჩელსი-მიდლსბრო	3.00	2.80	2.00
15008	ბოლტონი-არსენალი	3.00	2.80	2.00
15009	ნიუკასლი-ასტონ ვილა	3.00	2.80	2.00
15010	ბლეკბერნი-ევერტონი	3.00	2.80	2.00
15011	ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	3.00	2.80	2.00
15012	მანჩესტერი-პორტსმუთი	3.00	2.80	2.00
15014	ჩარლტონი-სიტი	3.00	2.80	2.00
15015	ბირმინგემი-ვესტ ჰემი	3.00	2.80	2.00
15061	შტუტგარტი-ბაიერნი	3.00	2.80	2.00
15063	ვერდერი-დუისბურგი	3.00	2.80	2.00
15065	კაისერსლაუტერნი-აინტრასტი	3.00	2.80	2.00
15066	დორტმუნდი-ჰანოვერი	3.00	2.80	2.00
15067	ჰამბურგი-კიოლნი	3.00	2.80	2.00
15068	მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	3.00	2.80	2.00
15070	არმინია-შალკე	3.00	2.80	2.00
15071	მაინცი-ვოლფსბურგი	3.00	2.80	2.00
15072	ლევერკუსენი-ჰერტა	3.00	2.80	2.00
15127	კიევო-მილანი	3.00	2.80	2.00
15128	ინტერი-ასკოლი	3.00	2.80	2.00
15130	პალერმო-კალიარი	3.00	2.80	2.00
15132	სამპდორია-ემპოლი	3.00	2.80	2.00
15133	ფიორენტინა-იუვენტუსი	3.00	2.80	2.00
15134	უდინესე-ლივორნო	3.00	2.80	2.00
15135	ტრევისო-მესინა	3.00	2.80	2.00
15136	რეჯინა-პარმა	3.00	2.80	2.00
15137	ლაციო-სიენა	3.00	2.80	2.00
15138	ლეჩე-რომა	3.00	2.80	2.00
15171	ბილბაო-ატლეტიკო	3.00	2.80	2.00
15172	ვილიარეალი-ბარსელონა	3.00	2.80	2.00
15173	სელტა-ბეტისი	3.00	2.80	2.00
15175	რეალი-სეტაფე	3.00	2.80	2.00
15176	სევილია-დეპორტივო	3.00	2.80	2.00
15177	ალავესი-მალიორკა	3.00	2.80	2.00
15178	მალაგა-ოსასუნა	3.00	2.80	2.00
15180	რასინგი-სოსიედადი	3.00	2.80	2.00
15181	ესპანიოლი-ვალენსია	3.00	2.80	2.00
15182	კადისი-სარაგოსა	3.00	2.80	2.00

ფრეს ბარეშე (ძირ დრო)

16003 ლივერპული-უიგანი	1.20	3.40
16004 ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.09	4.80
16006 ჩელსი-მიდლსბრო	1.04	6.00
16008 ბოლტონი-არსენალი	2.60	1.35
16009 ნიუკასლი-ასტონ ვილა	1.35	2.60
16010 ბლეკბერნი-ევერტონი	1.40	2.40
16011 ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	1.60	2.00
16012 მანჩესტერი-პორტსმუთი	1.04	6.30
16014 ჩარლტონი-სიტი	1.60	2.00
16015 ბირმინგემი-ვესტ ჰემი	1.60	2.00
16061 შტუტგარტი-ბაიერნი	2.40	1.40
16063 ვერდერი-დუისბურგი	1.05	5.50
16065 კაისერსლაუტერნი-აინტრასტი	1.60	2.00
16066 დორტმუნდი-ჰანოვერი	1.35	2.65
16067 ჰამბურგი-კიოლნი	1.12	4.40
16068 მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	1.25	3.10
16070 არმინია-შალკე	2.20	1.50
16071 მაინცი-ვოლფსბურგი	1.50	2.10
16072 ლევერკუსენი-ჰერტა	1.50	2.10
16127 კიევო-მილანი	3.20	1.25
16130 პალერმო-კალიარი	1.25	3.20
16132 სამპდორია-ემპოლი	1.25	3.20
16133 ფიორენტინა-იუვენტუსი	1.90	1.60
16134 უდინესე-ლივორნო	1.35	2.60
16135 ტრევისო-მესინა	1.60	1.90
16136 რეჯინა-პარმა	1.45	2.45
16137 ლაციო-სიენა	1.35	2.80
16138 ლეჩე-რომა	2.00	1.65
16171 ბილბაო-ატლეტიკო	1.60	1.90
16172 ვილიარეალი-ბარსელონა	2.30	1.45
16173 სელტა-ბეტისი	1.30	2.80
16175 რეალი-სეტაფე	1.10	4.90
16176 სევილია-დეპორტივო	1.55	2.20
16177 ალავესი-მალიორკა	1.55	2.10
16178 მალაგა-ოსასუნა	1.60	1.90
16180 რასინგი-სოსიედადი	1.60	2.00
16181 ესპანიოლი-ვალენსია	1.90	1.60
16182 კადისი-სარაგოსა	1.60	2.00

გოლი:წყვილი-10უ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

17003 ლივერპული-უიგანი	1.85	1.95
17004 ტოტენჰემი-სანდერლენდი	1.85	1.95
17006 ჩელსი-მიდლსბრო	1.85	1.95
17008 ბოლტონი-არსენალი	1.85	1.95
17009 ნიუკასლი-ასტონ ვილა	1.85	1.95
17010 ბლეკბერნი-ევერტონი	1.85	1.95
17011 ვესტ ბრომვიჩი-ფულემი	1.85	1.95
17012 მანჩესტერი-პორტსმუთი	1.85	1.95
17014 ჩარლტონი-სიტი	1.85	1.95
17015 ბირმინგემი-ვესტ ჰემი	1.85	1.95
17061 შტუტგარტი-ბაიერნი	1.85	1.95
17063 ვერდერი-დუისბურგი	1.85	1.95
17065 კაისერსლაუტერნი-აინტრასტი	1.85	1.95
17066 დორტმუნდი-ჰანოვერი	1.85	1.95
17067 ჰამბურგი-კიოლნი	1.85	1.95
17068 მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი	1.85	1.95
17070 არმინია-შალკე	1.85	1.95
17071 მაინცი-ვოლფსბურგი	1.85	1.95
17072 ლევერკუსენი-ჰერტა	1.85	1.95
17127 კიევო-მილანი	1.85	1.95
17128 ინტერი-ასკოლი	1.85	1.95
17130 პალერმო-კალიარი	1.85	1.95
17132 სამპდორია-ემპოლი	1.85	1.95
17133 ფიორენტინა-იუვენტუსი	1.85	1.95
17134 უდინესე-ლივორნო	1.85	1.95
17135 ტრევისო-მესინა	1.85	1.95
17136 რეჯინა-პარმა	1.85	1.95
17137 ლაციო-სიენა	1.85	1.95
17138 ლეჩე-რომა	1.85	1.95
17171 ბილბაო-ატლეტიკო	1.85	1.95
17172 ვილიარეალი-ბარსელონა	1.85	1.95
17173 სელტა-ბეტისი	1.85	1.95
17175 რეალი-სეტაფე	1.85	1.95
17176 სევილია-დეპორტივო	1.85	1.95
17177 ალავესი-მალიორკა	1.85	1.95
17178 მალაგა-ოსასუნა	1.85	1.95
17180 რასინგი-სოსიედადი	1.85	1.95
17181 ესპანიოლი-ვალენსია	1.85	1.95
17182 კადისი-სარაგოსა	1.85	1.95

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეს-რელიზი

30 ნოემბერს გაიმართა გამგეობის მე-2 სხდომა, რომელმაც დაამტკიცა ფედერაციის კომიტეტები და მათი თავმჯდომარეები:

საშეჯიბრო თავმჯდომარე — **როლანდ ხომერიკი**

ბავშვთა კალათბურთი — **გია მიქაძე**

მინი-კალათბურთის — **სერგო იშხნელი**

ქალთა კალათბურთი — **მედეა მხეიძე**

საერთაშორისო ურთიერთობების — **მერაბ რატიშვილი**

მსაჯთა და სადისციპლინო კომიტეტები შემდეგ სხდომაზე დამტკიცდებიან.

მსაჯებიც განსაჯეს

ესეც ჩვენი საერთაშორისო კლასის არბიტრები — ზაზა მაჩალაძესა და დავით ბერეკაშვილს კალათბურთის ფედერაციამ დისკვალიფიკაცია გამოუწერა.

მიზეზი — ბოლო ტურის რუსთავში გამართულ მატჩში დაშვებული შეცდომები.

„სარბიელშიც“ წაიკითხავდით და ერთხელაც გავიხსენოთ:

„აზოტმა“ გასულ სამშაბათს შინ ჩემპიონატის ლიდერ „თსუ-ნიკორასთან“ სკანდალურად წააგო. სირენამდე 20 წამით ადრე 4 ქულას იგებდა, თუმც მერე ისეთი დარდუბალა გათამაშდა, რომ სტუდენტებმა 2 ქულით იმარჯვეს.

რუსთაველებმა მაშინვე თქვეს, რომ ამ საქმეს ასე არ დავტოვებთო და ოთხშაბათს ფედერაციაში სამართლის საძებნად მივიდნენ. მთელი გუნდი თავის ხელმძღვანელობითა და მწვრთნელებით ქართული კალათბურთის შტაბბინაში მივიდა, დავიჩაგრეთ და რეაგირება მოახდინეთო.

გუშინ სადისციპლინო კომიტეტმა რუსთავულ ამბებზე ითათბირა და ასეთი ვერდიქტი გამოიტანა: მსაჯები — მაჩალაძე და ბერეკაშვილი — დაისაჯონ, პირველი სამი მატჩის გამოტოვებით, მეორე კი — ერთის.

მსაჯების დასჯით რუსთაველებმა გული სანახევროდ თუ მოიოხეს, რადგან მატჩის შედეგი ძალაში დარჩა.

მაშ ასე, ეროვნული ჩემპიონატის ორივე საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი დისკვალიფიცირებულია, რაც, ცოტა არ იყოს, უცნაური ამბავია ქართული ჩემპიონატისთვის. ჩვენში მსაჯები ხომ თითქმის არ ისჯებიან, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მეორე მატჩში მათი მისამართით სერიოზული პრეტენზიები გამოითქმება.

დისციპლინარებმა სხვებიც დასაჯეს: ბოლოსწინა ტურში, „ქუთაის“ — „აზოტის“ მატჩში მეტოქის შეურაცხყოფისთის რუსთაველი ლევან ჩაჩუა 200 დოლარითა და სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით. გასული ტურის სსუ — „ქუთაისში“ კი ერთბაშად ორი მოთამაშე შეირისხა. მოედნიდან გაძევების შემდეგ ბილწსიტყვაობა სოხუმელ ვაჟა მეტრეველს 200 დოლარად და 3 თამაშის გამოტოვებად დაუჯდა, ხოლო ქუთაისელი გიორგი ნიჟარაძე 300 დოლარს გაიღებს და 3 შეხვედრაში დაისვენებს.

ირაკლი პერტაია

ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტოები

ზაზა მაჩალაძეს (მარცხნივ) და დავით ბერეკაშვილსა (მარჯვნივ) რუსთავული შეცდომები არ ეპატიათ

რეკლამა სარბიელ—ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

NBA რეგულარული ჩემპიონატი



ზაზა ფაჩულიას და ზო მურნინგის დუელი

ზაზა — მაღლა გუნდი — დაბლა

30 ნოემბერი

ატლანტა 74:98 მაიამი

ატლანტა: აივი (8), ჯონსონი (13), სმიტი (10), ჰარინგტონი (14), ფაჩულია (35 წუთი, 17 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი); ჩილდრესი (6), სტუდემაიერი (4), ედვარდსი, უილიამსი, ტომასი

მაიამი: უილიამსი (21), ვეიდი (20), პოუზი (3), ჰესლიმი (9), მურნინგი (14 ქულა, 12 მოხსნა); პეიტონი (13), ანდერსონი

კლივლენდი 122:105 კლიპერსი

ძირითადი დრო 97:97

კლივლენდი: ილგაუსკასი (29 ქულა, 10 მოხსნა), ჯეიმსი (28 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ჰიუზი (23)

კლიპერსი: ბრენდი (33 ქულა, 10 მოხსნა), კასელი (26 ქულა, 13 პასი), მეჯიტი (25)

ბოსტონი 110:103 ფილადელფია

ბოსტონი: პირსი (32 ქულა, 11 მოხსნა), დევისი (26), პერკინსი (12 ქულა, 19 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (40), ვებერი (28)

ნიუ ჯერსი 83:93 დეტროიტი

ნიუ ჯერსი: კარტერი (27), ჯეფერსონი (20 ქულა, 14 მოხსნა), კრსტიჩი (13)

დეტროიტი: ჰამილტონი (30), ბილაფსი (20), პრინსი (17), რ. ვოლესი (16)

ნიუ იორკი 109:101 ჩიკაგო

ნიუ იორკი: კროუფორდი (28), ფრაი (21), მარბერი (18)

ჩიკაგო: გორდონი (28), ნოჩიონი (19), ჰაინრიხი (16)

დენვერი 95:102 ნიუ ორლეანი

დენვერი: მილერი (33), კემბი (16 ქულა, 16 მოხსნა, 8 დაფარება)

ნიუ ორლეანი: მეისონი (26), კლაქსტონი (19), სმიტი (16)

ფინიქსი 109:91 ინდიანა

ფინიქსი: ნეში (31 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), მარიონი (21 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება), დიაუ-რიფუ (17)

ინდიანა: ონილი (25), იასიკევიჩუსი (17), ჯონსი (13)

სიეტლი 104:94 შარლოტი

სიეტლი: ალენი (32), ლუისი (27 ქულა, 10 მოხსნა), რიდნორი (14 ქულა, 12 პასი)

შარლოტი: ბრეუეცი (21), რაში (20), ნაითი (18 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

გ. სტეიტი 113:106 საკრამენტო

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (33), დევისი (25 ქულა, 16 პასი), დანლივი (19), მერფი (14 ქულა, 10 მოხსნა)

საკრამენტო: აბდურ-რაჰიმი (24), ველსი (23), ბიბი (20), მილერი (18)

ტორონტო 66:92 მემფისი

ტორონტო: ბოში (15), პიტერსონი (14)

მემფისი: სტუდემაიერი (19), ჯონსი (18), გასოლი (15 ქულა, 10 მოხსნა)

ვაშინგტონი 96:89 პორტლენდი

ვაშინგტონი: არენასი (28), ჯემისონი (20 ქულა, 15 მოხსნა)

პორტლენდი: მაილზი (21), პრეიბილა (17 ქულა, 15 მოხსნა, 6 დაფარება), რენდოლფი (16)

ორმაგი დუბლის გარეშე აბა, როგორ იქნება? ზაზა ფაჩულიამ ისევ ააცილა თავისი ქულა-მოხსნები ათეულს და ერთხელაც უჩვენა ჯორჯიელებს, რომ „ატლანტა ჰოქსს“ ფარქვეშ მისი დარი არავინ ჰყავს. მაგრამ რად გინდა, სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის ფსკერზე, ვინ იცის, საბოლოოდ დამკვიდრებული „ატლანტა“ მაინც უიმედოდ დამარცხდა ამავ დივიზიონის ლიდერ „მაიამისთან“ — „ჰიქსმა“ 20 ქულით წააგო, მიუხედავად იმისა, რომ შინ თამაშობდა, თანაც „მაიამის“ არ ჰყავდა დევკაცი შაკილ ონილი, ხოლო სტუმართა მეორე ლიდერმა დუეინ ვეიდმა პირველი და მეოთხე მეოთხედები უქულოდ ჩაატარა.

დევშაკის არყოფნა სულაც არ უკარგავს ფასს ზაზას კარგ თამაშს — ჩვენებურს მეურვედ ხომ ონილზე არცთუ ბევრით ნაკლები ალონზო მურნინგი ედგა და ამ ბებერ ხარს ფაჩულიამ ნაბიჯიც არ დაუთმო — 17 ქულა ჩაუგდო და 11 ბურთიც ფარზე აართვა, ამ 11-დან 3 — მისსავე ფარზე.

აქვე ვთქვათ ერთი ნამდვილად არგამოსატოვებელი ფაქტი: ზაზა ფაჩულია თამაშში საშუალოდ 9,7 ბურთს ხსნის და ამ მაჩვენებლით ის ასოციაციაში სადღეისოდ მეთექვსმეტეა. ზაზა ამ 9,7 მოხსნიდან 4,7 მეტოქის ფარზე აკეთებს და, აი, ამ საქმეში მას მთელს ამხელა ნბა-ში მჯობნი არ მოეძებნება. მეტოქის ფარზე მეორე მომხსნელი, 221-სანტიმეტრიანი კლივლენდელი ჯიდრუნას ილგაუსკასი 4,1 მოხსნას აგროვებს. ზუსტად 4-4 აქვთ დეტროიტელ მონსტრ ბენ ვოლესსა და ფინიქსელ კალია შონ მარიონს.

მოკლედ, ზაზასნაირი მეფარე სწორედ რომ მისწრებაა ამ ჩვენი დავრდომილი ჯორჯიული გუნდისთვის.

და მაინც, ატლანტელები ბევრსაც ვერაფერს ხეირობენ მოხსნებით, რაკი თამაშში მეტოქეზე მეტი ბურთის ჩაგდება ვერაფრით ვერ ისწავლეს.

მასპინძლები თავიდანვე ჩამორჩნენ სტუმრებს და მერე ბევრი კი იწვალეს, მაგრამ 7 ქულაზე ახლოს ვერ მიუდგნენ მაიამელებს. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთზე ოდნავ ნაკლებით ადრე ფაჩულიამ „ჰოქსი“ 65:72 მიაახლოვა „ჰითს“, ეს იყო და ეს. სტუმართა თავკაცმა სტენვა განდიმ წუთშესვენება ითხოვა და მისმა შეგირდებმაც ოციოდე წამში დაიბრუნეს ორნიშნა რიცვხიანი უპირატესობა, ბოლოსკენ კი 20 ქულასაც გადაჭარბეს.

„ბოლო შვიდ წუთამდე ჩვენ კიდევ გვრჩებოდა მატჩის გადარჩენის შანსი, მაგრამ სხვაობა 7 ქულიდან 20-მდე რომ გაიზრდება, ეს შანსიც ქრება“, — ასეთია ზაზა ფაჩულიას, ამ შეხვედრაში უდავოდ საუკეთესო ატლანტელის მოკლე კომენტარი.

„ცუდია, როცა ასე ვაგებთ, მაგრამ ერთს ვიტყვი, ამაზე ქვევით ვერც დავეშვებით. ასე რომ, მომავალში აუცილებლად უკეთ ვითამაშებთ“, — ამ უიმედობაში ეძებს იმედის ნაპერწკალს „ატლანტას“ ლიდერი ჯო ჯონსონი.

სხვათა შორის, რაც შაკილ ონილი დაიმტვრა (სეზონის უკვე მეორე შეხვედრაში), „მაიამის“ გასვლაზე მეტოქე ვერ დაემარცხებინა. ასეთი ბეჩავი კი „ატლანტა“ გამოდგა...

კოტე ყორშია

ჰინგისი ბრუნდება

რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი, რომ ჩოგბურთს უბრუნდება შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი — ჩოგბურთელი, რომელიც გასული საუკუნის მიწურულს ქარიხშალივით შემოიჭრა სპორტის სამყაროში. შეგახსენებთ, რომ მან ბოლოს 2002 წლის ოქტომბერში იასპარეზა გერმანულ ფილდერშტადტში, რის შემდეგაც წვივის ქრონიკული ტრავმის გამო გამოეთხოვა ჩოგბურთს. ამ დროს შვეიცარიელი მხოლოდ 22 წლის იყო

ჰინგისმა ადრეც განაცხადა, რომ ის აქტიურ სპორტულ კარიერას დაუბრუნდებოდა. წლეულს თებერვალში ტაილანდში გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით, მაგრამ მაინც საქველმოქმედო ტურნირშიც მონაწილეობდა, სადაც კარგად გამოჩნდა, რომ შვეიცარიელი ველარ აკმაყოფილებდა თანამედროვე ჩოგბურთის სტანდარტებს. მერე აღარაფერი ისმოდა ჰინგისის გეგმების შესახებ, ახლა კი გავიგეთ, რომ იგი WTA TOUR-ის საჩემპიონო ბრძოლაში აპირებს ჩაბმას.

„ტრავმის გამო იძულებული გავხდი, ჩოგბურთისთვის დამენებებინა თავი, — განცხადა ჰინგისმა. — კორტს მიღმა ცხოვრება ცუდი არ იყო და სპორტის გარეშე არსებობის კარგი გამოცდილებაც მივიღე, მაგრამ ყოველთვის მენატრებოდა ჩოგბურთი, ის გამოწვევა, რომელიც უმაღლეს დონეზე შეჯიბრს ახლავს. ამიტომ ახლა იმედი მაქვს, რომ ჯანმრთელობა ხელს არ შემიშლის და საშუალება მექნება, ძლიერ მეტოქეებს დავუპირისპირდე“.

მოკლედ, აქტიურ სპორტს უბრუნდება ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი. ჩოგბურთიდან ასეთ ადრეულ ასაკში წასვლის მიუხედავად, კარიერის მანძილზე შვეიცარიელმა 76 ტიტული მოიგო (40 ერთეულთა, 36 კი წყვილთა თანრიგში), რომელთაგან 14 „დიდი მუზარადის“ ტურნირები იყო.

1997 წელს მან „დიდი მუზარადის“ სამ ტურნირში გაიმარჯვა გახდა და მხოლოდ საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში წააგო, ხორვატ ივა მაიოლისთან, მომდევნო წელს კი ოთხივე მოიგო, ოღონდ წყვილთა თანრიგში.

ჰინგისი ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი იყო (16 წლის და 6 თვის), რომელიც რეიტინგს სათავეში მოექცა და ერთ-ერთია იმ ხუთ ჩოგბურთელს შორის, რომლებიც რეიტინგში პირველ ადგილზე იყვნენ ერთდროულად ერთეულთა და წყვილთა თანრიგში.

რაც შეეხება გამომუშავებულ თანხას იგი ამ მხრივ მხოლოდ შტეფი გრაფს, მარტინა ნავრატილოვას და ლინდსი დეივენპორტს ჩამოუვარდა.

ჰინგისის დაბრუნებას აღფრთოვანებით შეხვდნენ ქალთა ჩოგბურთის ხელმძღვანელები. WTA TOUR-ის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ლარი სკოტმა თქვა:

„მარტინა ჩოგბურთში ნამდვილად უნიკალური პიროვნებაა. მისი დაბრუნება ალბათ განსაკუთრებით გახარებს ქალთა ჩოგბურთის გულშემატკივრებს, ვინაიდან ინტრიგაც იმატებს და თან დიდი ერთი კაშკაშა ვარსკვლავი დაემატება ძრმავალ შეჯიბრებებს. ასე რომ, მის დაბრუნებას მოუთმენლად ველით“. თუმც, ამას ვერ ვიტყვით ჩოგბურთის სპეციალისტებზე. მათ დიდი ეჭვი აქვთ იმისა, რომ ჰინგისი ვერ შეძლებს იმ სტანდარტების მიღწევას, რაც თანამედროვე უმაღლესი დონის ჩოგბურთელებისთვის აუცილებელია. მუდმივ ფავორიტობას მიჩვეულმა შვეიცარიელმა შეიძლება მორალურად ვერ გაუძლოს წარუმატებლობებს, რომლებიც თავიდან ალბათ მისი თანმდევი იქნება, ამან კი იქნებ ჰინგისს მალევე აუცრუოს გული თამაშზე.

ასე თუ ისე, ჰინგისის დაბრუნება მაინც დადებითი მოვლენაა. უფრო კარგი იქნება, თუ შვეიცარიელი შეძლებს იმ კონდიციების აღდგენას, როცა ის ერთმანეთის მიყოლებით იგებდა სხვადასხვა ტურნირებს — ეს ხომ დამატებით ინტრიგას შესძენს მთლიანად ქალთა ჩოგბურთს და იმ შარმს დაუბრუნებს, რომელიც ამ სპორტს ასე აკლდა ამ მინიატურული, მაგრამ უაღრესად ტექნიკური და ჭკვიანი მოთამაშის წასვლის შემდეგ.

კახა ლომაშვილი



დომინიკ ჰრბატი

დღეს ბრატისლავაში დევისის თასისთვის აქამდე არნახული ფინალური შეხვედრა დაიწყება — ამ ეტაპზე პირველად მოხვდა ორი განუთესავი ნაკრები — მასპინძელი სლოვაკეთი და ხორვატია. ასე რომ, დევისის თასს უეჭველად ახალი მფლობელი ეყოლება



ივან ლიუბიჩიჩი

არნახული ფინალი
სლოვაკეთი თუ ხორვატია

უამრავი პროგნოზია, თუმც ყველა მეტად დაძაბულ ორთაბრძოლას ელოდება. ეს ფინალი ხომ მონაწილე ნაკრების თითოეული წევრისთვის კარიერის უმთავრესი მომენტია.

მაინც, რომელია ფავორიტი? ალბათ ასეთი თანაბარი ფინალის წარმოდგენა ძნელი იქნებოდა, მაგრამ სპეციალისტთა უმეტესობა ფავორიტად მაინც ხორვატებს მიიჩნევს. ჯერ ერთი, მათ ივან ლიუბიჩიჩი ჰყავთ — ნაკრების ნამდვილი ლიდერი, რომელიც ამ სეზონის ბოლოს ბრწყინვალე ფორმაშია. გარდა ამისა, არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც ბალკანელთა სასარგებლოდ მეტყველებს — კერძოდ, მაგარსაფარიანი კორტები, რომელიც მასპინძლებმა აირჩიეს სათამაშოდ.

სლოვაკებმა რომ ასეთი კორტები აირჩიეს, ყველას გაუკვირდა, რადგან თვითონ მასპინძლები — დომინიკ ჰრბატი და კაროლ ბეკი, ისევე როგორც მიხაილ მერტინაკი, არასოდეს გამოირჩეოდნენ ასეთ საფარზე კარგი თამაშით. თან მაგარსაფარი კარგად ეწყობა იმ სათამაშო სტილს, რომლითაც ხორვატების ამ ფორმაციის ნაკრები გამოირჩევა — უძლიერესი მოწოდებები, სწრაფი კომბინაციები უკანა ხაზიდან და ბადესთან კარგი თამაში. და ამ დროს როგორც ივან ლიუბიჩიჩი, ისე მარიო ანჩიჩიც პირველ რიგში ძლიერი მოწოდებებით არიან ცნობილნი.

ასე რომ, მასპინძელთა ასეთი არჩევანი ბევრისთვის დიდი მოულოდნელობა, ხორვატებისთვის კი სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. სუმც თავისი პლუსები სლოვაკებსაც აქვთ — ეს არის გულშემატკივართა უდიდესი მხარდაჭერა, რამაც, სხვათა შორის, ერთ-ერთი უმთავრესი როლი ითამაშა ნახევარფინალში არგენტინელთა დამარცხებაში.

სლოვაკთა ლიდერი დომინიკ ჰრბატი კი უპირატესობად იმასაც მიიჩნევს, რომ ამ შეხვედრის წინ ფავორიტად სწორედ ხორვატია სახელდება. მისი თქმით, ეს დამატებითი ზეწოლის ქვეშ მოაქცევს ხორვატებს, მასპინძლებს კი არაფერი ექნებათ დასაკარგი და ზედმეტი დაძაბვის გარეშე ითამაშებენ.

მაგრამ თუ ჰრბატი მხოლოდ ამის იმედზეა, მაშინ მისი საქმე ვერ ყოფილა კარგად. გარდა იმისა, რომ დომინიკმა ლიუბიჩიჩთან აქამდე ხუთიდან ხუთივე მატჩი წააგო, ისიც აღსანიშნავია, რომ ხორვატი პატარა ბიჭი აღარ არის, ნერვები ვერ მოთოკოს. ლიუბიჩიჩმა ეს არაერთხელ დაამტკიცა წლეულს, როცა დევისის თასის ვითამაშებაში ჯერ ერთი მატჩიც კი არ წაუგია. სამაგიეროდ, 9 მოიგო და შანსი აქვს, 1982 წელს ჯონ მაკენროის მიერ დამყარებული რეკორდი გაიმეოროს — 12 მოგებული შეხვედრა დევისის თასის ერთ გათამაშებაში.

არც მარიო ანჩიჩია ისეთი მოთამაშე, ზეწოლის გამო თავისი თამაში ვერ აჩვენოს. ამის პარალელურად ხორვატთა კაპიტანმა ნიკი პილიჩმა მეტად ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო, გუნდის შემადგენლობაში დიდი გორან ივანიშევიჩი შეიყვანა.

გორანი თავისიანებს კარგად მომართავს და გაამხნევებს მატჩის წინ. მას ეს არ გაუჭირდება. ეგ კი არა, იმასაც არ გამორიცხავენ, რომ თვითონ ივანიშევიჩმა ითამაშოს ერთეულთა თანრიგის რომელიმე შეხვედრა.

თავის მხრივ, სლოვაკებმაც გამოიყენეს თავიანთი საიდუმლო იარაღი — ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს ამ ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი კაროლ კუჩერა. გავრცელებული ინფორმაციით, დიდი შანსია, მან წყვილთა მატჩში მიიღოს მონაწილეობა.

ასე რომ, დიდი სამზადისია ორივე ნაკრების რიგებში. ორივე გამარჯვებას გეგმავს და ამისთვის ყველაფერს გაიღებს, რაც ჩვენ მეტად საინტერესო ფინალს გვპირდება.

დაველოდოთ, რა მოხდება, ფინალის განრიგი კი ასეთია:

2 დეკემბერი:
კაროლ ბეკი — ივან ლიუბიჩიჩი
დომინიკ ჰრბატი — მარიო ანჩიჩი

3 დეკემბერი:
კაროლ ბეკი/მიხაილ მერტინაკი — ივან ლიუბიჩიჩი/მარიო ანჩიჩი

4 დეკემბერი:
დომინიკ ჰრბატი — ივან ლიუბიჩიჩი
კაროლ ბეკი — მარიო ანჩიჩი

კახა ლომაშვილი

მაგთიკომის პირველობა

რკინიგზელებმა ხულიგნები ისევ დაჯაბნეს

ბაღრი კუთელაძის ფოტო

„ლოკომოტივს“ „სარბიელის“ სინს ხელიდან ვერავინ აგდებინებს

ლელო 19:24 აკადემია

ლელო: თოდუა, შალიკაშვილი, ზაალიშვილი, ჯამრელიძე, ფირფილაშვილი, ყიასაშვილი, კვირიკაშვილი, ტვილდიანი, ცხოვრებაშვილი, ქუბრიაშვილი, დაუშვილი, რამაზაშვილი, მჭედლიშვილი, სარდანაშვილი, ბელქანია (კაპ)

1 **ლელო:** ჯამრელიძე; 1 გარდასახვა: კვირიკაშვილი; 4 საჯარიმო: კვირიკაშვილი

აკადემია: გურგენიძე, ელიზბარაშვილი, პინჩუკოვი, წასიძე, სულამანიძე, ხუხუნეიშვილი, კობახიძე (კაპ), ბანდელიძე, ნატროშვილი, გელანტია, გაბუნია, უჩავა, ნებულაშვილი, მჭედლიძე, სირბილაძე

4 **ლელო:** ნატროშვილი (2); უჩავა, ელიზბარაშვილი; 2 გარდასახვა: ხუხუნეიშვილი

მთავარი მსაჯი: ჩაჩუა

ასისტენტები: გაბუნია, ნარიმანიძე

თბილისი მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე საქართველოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. „ლელომ“ „აკადემიას“ უმასპინძლა. თამაშს სატურნირო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. დამარცხებული, ფაქტობრივად, სეზონს ასრულებდა. მისთვის არც სატურნირო მდგომარეობა შეიცვლებოდა. ასე რომ, წინასწარ შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ გუნდები ერთმანეთს არაფერს დაუთმობდნენ.

ამ გუნდების შეხვედრა თანაბარ ბრძოლაში დაიწყო. ბურთი ძირითადად მოედნის ცენტრში ტრიალებდა, უკვე მე-3 წუთზე კი „ლელოს“ ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ ცენტრიდან დარტყმული ჯარიმა მერაბ კვირიკაშვილმა აცილა.

„ლელო“ ცდილობდა ბურთი ჩათვლის მოედანზე ჩაეკიდა და მისთვის იქ ებრძოლა, აკადემიის მორაგბეები კი ხელით გათამაშებას ლამობდნენ. 13 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა — მერაბ კვირიკაშვილმა შეცდომა გამოასწორა და ჯარიმაც გაიტანა (3:0). ამას მეტოქის გააქტიურება და მე-20 წუთზე უჩავას ლელო მოჰყვა. გარდასახვა ლევან ხუხუნეიშვილმა ზუსტად დაარტყა (3:7). ამის შემდეგ „ლელომ“ იძალა და ჯარიმა მოიპოვა. მათმა დამრტყმელმა (კვირიკაშვილმა) კი ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა.

აქედან მოყოლებული 36-ე წუთამდე საინტერესო არაფერი მომხდარა, ამ დროს კი „აკადემიამ“ აუტი მოიგო, მოლი ააგორა და ნატროშვილმა ლელო გაიტანა, დამრტყმელმა ლევან ხუხუნაშვილმა კი გარდასახა და 6:14.

ტაიმის ბოლოს ანგარიში კიდევ შეიცვალა — ჯამრელიძეს „აკადემია“ დაალელოვა, კვირიკაშვილი კი ამჯერადაც ზუსტი იყო — 13:14.

მეორე ტაიმში კვლავ კვირიკაშვილის დარტყმის შემდეგ შეიცვალა ანგარიში. „მეკომ“ ჯარიმა გაიტანა. ამას „აკადემიის“ გააქტიურება და ნატროშვილის ლელო მოჰყვა, მაგრამ ხუხუნეიშვილმა გარდასახვა ვერ გამოიყენა — 16:19. ხუხუნეიშვილისგან განსხვავებით „ლელოს“ დამრტყმელი კვლავ ზუსტი იყო, ჯარიმა და ანგარიში გათანაბრდა — 19:19.

ბოლო წუთები „აკადემიამ“ კარგად წარმართა, 68-ე წუთზე კი, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ელიზბარაშვილმა გადამწყვეტი ლელო გაიტანა. ხუხუნეიშვილმა გარდასახა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

დარჩენილ დროში „ლელო“ ბევრს ეცადა, თუმცა უშედეგოდ. აკადემიამ უპირატესობა აღარ დათმო.

ლოკომოტივი 40:5 ხულიგანა

ლოკომოტივი: ასათიანი, გუგავა, კობერიძე, გიგაური, გილაური, ჯვინიხიძე (კაპ), სამხარაძე, გასვიანი, ჯოხია, სპანდერაშვილი, კორკოტაძე, მხეიძე, მაისურაძე, სუთიაშვილი, ყურაშვილი

4 **ლელო:** სამხარაძე, სუთიაშვილი, გუავა, ანდღულაძე; 4 გარდასახვა: კვინიხიძე (4); 4 საჯარიმო: კვინიხიძე (4)

შეცვლაზე შევიდნენ: ხარაძე, ჩიბლაძე, ავსაჯანიშვილი, ანდღულაძე, მაღალაძე

მწვრთნელი: თვმურ ბენდიაშვილი

ხულიგანა: შვინინი, ჭიჭინაძე, ნიკურაძე, შიოშვილი, ჟამუტაშვილი, გრძელიშვილი, კრეპსი, შეყლაშვილი, კიკუაშვილი, ფეიქრიშვილი, ბელაშვილი, კენჭაძე, გენებაშვილი, კენჭაძე (კაპ), ხოსიტაშვილი

1 **ლელო:** ჭიჭინაძე

შეცვლაზე შევიდნენ: მურკანიძე, ჩიტაძე

მწვრთნელი: ბამუკა ტყეშელაშვილი

მთავარი მსაჯი: ჯავახიშვილი

ასისტენტები: გაბუნია, რობიტაშვილი

„ლოკომოტივი“ „სარბიელის“ სინისთვის „ხულიგანას“ თავიდანვე მაგრად მიაწვა და უკვე მე-10 წუთზე კვინიხიძემ ჯარიმა გაიტანა 3:0. „ლოკომოტივმა“ უპირატესობა ამის შემდეგაც არ გაუშვა ხელიდან, 15-ე წუთზე კი ანგარიში გუნდის კაპიტანმა ჯარიმით გაზარდა — 6:0.

მალე თამაშში პირველი ლელოც გავიდა. სამხარაძემ აუტიდან მოწოდებული ბურთი, რომელიც შორს დაეცა, „მოიპარა“ და დაამიწა კიდეც, კვინიხიძემ კი გარდასახა და 14:0 (25:60).

პირველ ტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა, მეორე კი „ხულიგანას“ აქტიურობით დაიწყო. მიუხედავად ამისა, ქულებს მხოლოდ „ლოკომოტივი“ აგროვებდა. მე-10 წუთზე სუთიაშვილმა ხაზი გაჭრა და ბურთი ძელებს შორის დადო, რასაც კვინიხიძის ზუსტი გარდასახვა მოჰყვა 21:0.

აქ მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, თუმცა „ხულიგანა“ ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ უშედეგოდ. 25-ე წუთზე კვლავ „ლოკომოტივმა“ იმარჯვა — გუგავამ უკიდურეს მარჯვენა კუთხეში ბურთი დაამიწა, მაგრამ მერე კვინიხიძემ გარდასახვა ვეღარ გამოიყენა — 26:0.

„ლოკომოტივი“ უპირატესობას ინარჩუნებდა და ტაიმის ბოლოს კიდევ ერთი სპურტი მოაწყო. ლელო ჯერ გილაურშა, შემდეგ კი შეცვლაზე შემოსულმა ანდღულაძემ გაიტანეს. კვინიხიძე ორივე შემთხვევაში ზუსტი იყო (40:0).

ამის შემდეგ „ხულიგანამ“ იმძლავრა, მაგრად მიაწვა და ბოლო წუთზე პრესტიჟის ლელო ჭიჭინაძემ გაიტანა, გენებაშვილის გაცუდებული გარდასახვის შემდეგ კი მსაჯის სასტვენიც გაისმა. საბოლოოდ 40:5 და „ლოკომოტივმა“ „სარბიელის“ სინი კიდევ ერთხელ დაიცვა, ჩემპიონობისკენ კი დიდი ნაბიჯი გადადგა.

ლექსო მაისურაძე

მსოფლიოს თასი

ხანტი-მანსიისკი. რუსეთი 26 ნოემბერი - 18 დეკემბერი

მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

გარი ლეინი (ავსტრია)	0,5:0,5	ბაადურ ჯობავა (საქართველო)	(0,5:1,5)
ლევან ფანცულაია (საქართველო)	0,5:0,5	შეკარ სურია განგული (ინდოეთი)	(1:1)

ფრჩხილებში მოცემულია საერთო ანგარიში

ჯობავა მესამე ადგილზეა

ბაადურ ჯობავა მესამე ეტაპზე გავიდა.

პირველი შეხვედრა მან ავსტრიელ გარი ლეინს მოუგო და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მეორე პარტიაში ყაიმიც ჰყოფნიდა.

ბაადურმა ეს მატჩიც აქტიურად დაიწყო, პაიკით შეუტია მეტოქეს და მსუბუქი ფიგურები გამოიყვანა. იერიშებს ავსტრიელიც შეუდგა, თუმც არაფერი გამოუვიდა, სვლები სამჯერ გაიმეორა და 34-ზე მისთვის სავალალო ყაიმს დაყაბულდა.

9 სვლაში დაასრულა შეხვედრა ფანცულაიამ. მან ინდოელ შეკარ სურია განგულთან კვლავ ყაიმით დაასრულა შეხვედრა და დღეს ტაიბრეიკებს ითამაშებს.

გათამაშებას გამოეთიშა თასის ფავორიტი უკრაინელი ვასილ ივანჩუკი. იგი ბულგარელ ივან ჩეპარინოვთან დამარცხდა და გათამაშებაც დროზე ადრე დატოვა.

ლაშა გეგეჭკორი

რენომ ალონსოს ბოლიდი აჩუქა

იშვიათი ამბავია, რომ ფორმულა 1-ის გუნდმა მრბოლს მანქანა აჩუქა მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ ჯირითობს.

ერთი სიტყვით, ფრანგულმა კონცერნმა „რენომ“ თავის წლევანდელ საფორმულო ტრიუმფატორ ფერნანდო ალონსოს საჩუქრად გადასცა ის ისტორიული „რენო R25“, რომლითაც 24 წლის ესპანელმა პილოტმა „სამეფო რბოლების“ ჩემპიონობა მოიპოვა.

UEFA CUP
უეფას თასი 2005-2006
ჯგუფური ეტაპი. IV ტური

E ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 3:1 **რომა** (იტალია)

0:1 ნონდა (23), 1:1 ჟიგიჩი (37), 2:1 პროვიჩი (78), 3:1 ჟიგიჩი (85)

ბაზელი (შვეიცარია) 4:3 **ტრომსიო** (ნორვეგია)

0:1 ლ. სტრანდი (2), 1:1 პეტრიჩი (17), 1:2 ერსტი (19), 1:3 ლ. სტრანდი (29), 2:3 მ. დელგადო (61), 3:3 ჩიპერფილდი (67), 4:3 დეგენი (75)

სტრასბური	3	2	1	0	5:1	7
ბაზელი	3	2	0	1	6:6	6
რომა	3	1	1	1	4:5	4
ცრვენა ზვეზდა	3	1	0	2	5:6	3
ტრომსიო	4	1	0	3	7:9	3

F ჯგუფი

ლევსკი (ბულგარეთი) 1:0 **მარსელი** (საფრანგეთი)

1:0 იოვოვი (54)

დინამო (რუმინეთი) 1:0 **ცსკა** (რუსეთი)

1:0 ვ. მუნტიანუ (72)

ლევსკი	3	2	0	1	3:2	6
მარსელი	3	2	0	1	3:2	6
დინამო	3	1	1	1	1:1	4
ცსკა	4	1	1	2	3:4	4
ჰერენვენი	3	0	2	1	0:1	2

G ჯგუფი

რენი (საფრანგეთი) 0:1 **შახტარი** (უკრაინა)

0:1 ელანო (38პ)

რაპიდი (რუმინეთი) 1:0 **პაოკ** (საბერძნეთი)

1:0 მალდარასანუ (45)

რაპიდი	3	3	0	0	4:0	9
შახტარი	4	3	0	1	4:1	9
შტუტგარტი	3	2	0	1	4:3	6
პაოკ	3	0	0	3	1:4	0
რენი	3	0	0	3	0:5	0

H ჯგუფი

სევილია (ესპანეთი) 3:1 **გიმარაეში** (პორტუგალია)

1:0, 2:0 სავიოლა (10, 27), 3:0 კორეირა (39), 3:1 ბენა (44)

ბეშიქთაში (თურქეთი) 1:1 **ზენიტი** (რუსეთი)

1:0 იბრაჰიმ აკინი (25), 1:1 პაგენი (30)

ზენიტი	4	2	1	1	5:4	7
სევილია	3	2	0	1	7:3	6
ბოლტონი	3	1	2	0	3:2	5
ბეშიქთაში	3	0	2	1	2:5	2
გიმარაეში	3	0	1	2	3:6	1

იტალია

თასის მერკელფინალი. პირველი მატჩი

ფიორენტინა 2:2 იუვენტუსი

AFP ტურინიდან

ტურინის მოლოდინი

ორი თვეც და ტურინში ზამთრის ოლიმპური თამაშები გაიხსნება. საკუთრივ ქალაქში ყველაფერი მზადაა, ოლიმპიური მაღაზიებით დაწყებული, ბილბორდებით დამთავრებული. ღია ოლიმპიურ არენაზე კი გაჩქარებული მზადება მიმდინარეობს.

სქვოშაობა

სქვოში გაგიგონიათ, კედლის ჩოგბურთაობა გახლავთ. ბურთსა სცემ კედელს და მეტოქეც კედლიდან გადმოვარდნილს პასუხობს. ეს თამაში აზიაში მეტად უყვართ და დიდი ტურნირებიც იქ იმართება. აი, ჰონკონგში ორი ფრანგი შეტაკებია ერთმანეთს — გულტიე და ლინკუ. პირველს მოუგია ხუთსეტიან, 76-წუთიან თამაშში.



AFP ჰონკონგიდან

AFP ოსაკიდან

ოსაკური ცეკვები

იაპონიის ოსაკაში გახურებულა ყინულზე ცეკვის ენეიჩქეის თასის გათამაშება. ეს, ცხადია, რუსული წყვილია: ალბენა დენკოვა-მაქსიმ სტავსკი. წყვილი ჯერჯერობით მეორე ადგილზეა, თუმცა, ფავორიტად მიიჩნევა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge